



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნიანი  
(თამაზი)  
№6 (402)  
(5783)  
2023

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

### როინ მეტრეველი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ბატონო როინ!

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების სახელით გლოცავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევას!

მოგესხნებათ რამდენად დიდი პატივი და ღირსებაა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევა - თქვენ ეს, მართლაც რომ დაიმსახურეთ მთელი თქვენი გავლილი ცხოვრების და მოღვაწეობის განმავლობაში, როგორც ღირსეულმა პიროვნებამ და მამულიშვილმა, ჩინებულმა მეცნიერმა-ისტორიკოსმა, მეცნიერების და განათლების სისტემის ბრწყინვალე ორგანიზატორმა, საზოგადო და ეროვნულმა მოღვაწემ, ქვეყნის ნამდვილმა პატრიოტმა და მოჭირნახულემ!



მიიღეთ ჩვენი საზოგადოების, რომლის პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით, გულწრფელი მილოცვა და საუკეთესო სურვილები!

ბე-ჰაცლახა!

შაა-ტოვა!

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების სახელით,  
ვიცე-პრეზიდენტი — **გურამ ბათიაშვილი**;  
საზოგადოების მდივანი — **ფილხაზ (მალხაზ) ნანიკაშვილი**

### შოლომ ალექსემის ძეგლი



6 ივნისს ვერ-აზიის ებრაელთა კონგრესის მონაწილეობით, თელ-ავივის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაიხსნა გამოჩენილი ებრაელი მწერლის შოლომ ალექსემის ძეგლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა ეკონგრესის გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი.

— შოლომ ალექსემი არა მხოლოდ დიდი მწერალია, იგი გახლავთ სიმბოლო ებრაული ცივილიზაციის მთელი პლასტისა, შოლომ ალექსემის მემკვიდრეობა, არის ებრაული დასახლებების ისტორიისა — რევოლუციის წლებში მისი წერეთისა და ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა, ეს გახლავთ ისტორია ევროთულ და იდიშურენოვანი კულტურის არცთუ უბრალო ურთიერთობისა.

### რელიგიათა ლიდერების კონფერენცია

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის (ეაეკ) ლიდერებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში „მსოფლიოს რელიგიური ლიდერების ერთიანობა“ კონფერენციის ფარგლებში ეკონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი შეხვდა რელიგიის მსოფლიო კონგრესის სამდივნოს ხელმძღვანელს — მაულენ აშიმბაევს. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ყაზახეთის ელჩი ისრაელში სატიბალდი ბურშაკოვი. განხილული იქნა ეკონგრესისა და ყაზახეთის ხელისუფლების თანამშრომლობის, კულტურათა და კონფესიათაშორის დიალოგის საკითხები. ეკონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა აღნიშნა თუ რაოდენ უნიკალურ როლს ასრულებენ რელიგიური ლიდერები მსოფლიოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.



### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენი ქვეყნის ებრაელები აღაშფოთა ინფორმაციამ ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში ე.წ. სინაგოგის გახსნის შესახებ. ვთვლით, რომ ეს არის საქართველოს ებრაელთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და პროვოკაცია, რომელიც დაგეგმილია არა მხოლოდ ჩვენს მიმართ. ეს გახლავთ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტოლერანტული გარემოს დარღვევის მცდელობა, რომელიც თავისთავად გამოიწვევს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა დაპირისპირებას და აგრეთვე, განხეთქილებას ებრაულ თემში. ამგვარი ქმედებების გაგრძელება შექმნის დესტაბილიზაციის ახალ კერებს, რაც თავისთავად ეჭვქვეშ დააყენებს ქვეყნის ღირსეულ წარსულს, აწმყოსა და საფრთხეს შეუქმნის მომავალს.

1 საქართველოს ებრაელთა კავშირი“ მოუწოდებს ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ებრაელს: ნუ აყვებით გარე ძალების მიერ თავსმოხვეულ და ამავე ძალებთან მიტმასნილი გრანტ-დამოკიდებული თითო-ორი სუბიექტის ბინძურ პროვოკაციას, შეინარჩუნეთ სიმშვიდე!

გარნმუნებთ, რომ უპასუხოდ არ დარჩება ჩვენი რელიგიური სიმნიშვნელების და ლოცვების ჩატარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და წესების შეურაცხყოფა.

ყველა იმ ებრაელს, ვინც ხელს შეუწყობს რელიგიური წესების უხემ დარღვევას, დაეკისრება განსაკუთრებული მორალური პასუხისმგებლობა ღმერთისა და ჩვენი ერის წინაშე.

ამასთანავე, მივმართავთ ჩვენი ქვეყნის ყველა რელიგიის მიმდევარს: გთხოვთ, პატივი ეცით და დაიცავით ის წესები და კანონები, რომელსაც თქვენი სარწმუნოება გკარნახობთ. ერთობითა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით განვამტკიცოთ ჩვენი საერთო ქვეყნის სტაბილურობა, განვითარება და წარმატებული მომავალი.

მივმართავთ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, საქართველოში მოქმედ რელიგიურ კონფესიებს, რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველს, - მოსალოდნელი სამშრომლებების პრევენციის მიზნით იმოქმედონ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გამოიყენონ შესაბამისი რეგულაციის მექანიზმები, რათა არ მოხდეს სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა და აღიკვეთოს დაგეგმილი პროვოკაციული ქმედებები.

მოუწოდებთ ამ მკრეხელურ აქტში მონაწილე ყველა ებრაელს, დროულად შეინანონ ჩადენილი დანაშაული ღმერთის და საკუთარი ხალხის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამარცხვინო ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენს საზოგადოებაში.

მოგინოდებთ საქართველოს ყველა ებრაელს შევიკრიბოთ თბილისის დიდ სინაგოგაში 5 ივნისს 19 საათზე არსებული სიტუაციის გასარკვევად, რათა ერთობლივად დავსახოთ გეგმები ხელოვნურად შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გთხოვთ არ აყვებით პროვოკაციას და ჩვენი ერისთვის ჩვეული სიმშვიდითა და სიბრძნით თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა ქვეყანაში და დაპირისპირება ადგილობრივ თემში.

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი - **იაკობ გავუნაშვილი**  
თბილისის დიდი სინაგოგის რაბინი - **რაზა მამუკაშვილი**  
„ბეთი რახევი“ სინაგოგის რაბინი - **აპი მელეხ როზენბლათი**  
რაბინი - **არონ მდინარაძე**  
რაბინი - **მიხეილ ხანანაშვილი**  
რაბინი - **მიჩაელ კოზლოვსკი**  
რაბინი - **ბენცვიონ ისრაელაშვილი**  
საქართველოს ებრაელთა კავშირის თავჯდომარე, თბილისის დიდი სინაგოგის გამგეობის თავჯდომარე (გაბაი) - **მერაბ ჩანჩაშვილი**

# „სიზმრების ფილოსოფია“

რაბი შაჰულ ფანიკაშვილი

## პირველი ნაწილი

### პირველი ნაწილი იყოფა რვა მუხლად:

პირველი მუხლი განასხვავებს სიზმრებს მათი მნიშვნელობებისა და მრავალფეროვნების მიხედვით.

მეორე – განმარტებები იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ამა თუ იმ სიზმარზე დაყრდნობა.

მესამე – მსჯელობითა და დაკვირვებით გარკვევა მართალია სიზმარი თუ არა.

მეოთხე – შეტყობინება იმისა, თუ რა შეიძლება იქნას სიზმრად ნაჩვენები და რა არა.

მეხუთე – განმარტება იმის შესახებ, რომ სიზმრის ამხსნელმა საჭიროა იცოდეს სამი ძირითადი წინაპირობა, რათა გამართლდეს მისი ახსნელი სიზმარი.

მექექვე – განმარტავს იმ საკითხს თუ რა საკმით არის დაკავებული ის პიროვნება, ვინც იხილა სიზმარი.

მეშვიდე – განმარტავს იმ საკითხს, გაჰყვებიან თუ არა სიზმრის განმარტებებს, აგრეთვე ჩაუტარებენ დიდ, საზრიან კრიტიკას და შემდეგ ახსნიან მას.

მერვე – განმარტავს სიზმრის განხორციელების დროს, განსაზღვრავს ადრე მოხდება თუ მოგვიანებით ესა თუ ის სიზმარში ნაწილი მოვლენა.

პირველ კარში გადმოცემულია და გარჩეულია სიზმრების განსაზღვრება, ნაირსახეობები და მათი განსხვავებანი. ვიდრე ვისაუბრებდეთ განმარტების ძირითად ფილოსოფიურ განსაზღვრებებზე, საჭიროა ვიცოდეთ მისი რაობა და ნაირსახეობები. მათ შორის განსხვავებები, რათა გავიგოთ სიზმრის რომელ სახეობაზეა საუბარი. ეს საკითხი ორ მუხლად იყოფა: 1. სიზმრის ნაირსახეობა. 2. ნაირსახეობათა შორის კონკრეტული განსხვავებანი.

### კარი პირველი — სიზმრის სახეობები

მისი მთავარი პირობა ის არის, რომ სიზმრის ნახვა ხდება ძილის დროს.

### სიზმრის სახეობები

ძრითადად არსებობს სიზმრის სამი სახეობა.

პირველ სახეობას, რომელიც ყველაზე მალე დგას, ეწოდება წინასწარმეტყველური სიზმარი. მსგავსი სიზმარი იხილეს ისტორიულმა პირებმა: შელომომ, იაკობმა და დანიელმა, როგორც ნამდვილი წინასწარმეტყველება, რაც ნათლად სანს მათი შემოქმედებიდან. სწავლულების აზრით, ეს პიროვნებები ნაწილობრივ ავიდნენ იმ დონეზე, რასაც „სულის წმინდა აზროვნება“ ეწოდება. დანიელი-სა და შელომოს სიზმრები, რომლებიც წინასწარმეტყველებას უტოლდებიან, გაცილებით უფრო მალე დგას, ვიდრე უბრალო ადამიანთა სიზმრები, რომლებიც წინასწარმეტყველების შესამოცდ ნაწილს შეადგენს.

მეორე სახეობა ჩვეულებრივი ანუ უბრალო სიზმარი, როგორც იყო ფარაონის, ავიმელეხის და ლავან არამიელის სიზმრები. მათ სიზმრებს ვერ შევადარებთ იოსებისა და იაკობის სიზმრებს, რადგან ისინი მათსავით სახელგატყობილები და ამორალურები არ იყვნენ. ამას, თვითონ თორა ასე გვაუწყებს „და მივიდა ღმერთი ლავან არამელთან და ავიმელეხთან სიზმრად ღამით“.

იაკობზე კი წერია – „და უთხრა ღმერთმა იაკობს ღამის საწახაობით“, რაც პიროვნების დიდ ღირსებაზე მეტყველებს.

მესამე სახეობას მიეკუთვნება მკითხავების სიზმრები, რომლებიც ცრუ წინასწარმეტყველებიდან გამომდინარეობს. თორიდან ვსწავლობთ, რომ არ დაეჯერებოდა არც ერთ ცრუ წინასწარმეტყველს, რომელიც თვითონ თხზავს სიზმრებს და თვითონვე ხსნის მათ.

ესაია წინასწარმეტყველი განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას ამაზე და ამბობს უფლის სახელით – „მოვისმინე, რასაც ლაპარაკობენ ცრუ წინასწარმეტყველები ჩემი სახელით, რითაც ისინი დემაგოგიას ეწვიან ჩემს ერში,

რათა დაავინყონ ერს ჩემი სახელი“.

ერთ-ერთ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა შემაია „სიზმარა“. ეს იყო ისტორიული პიროვნება, ცრუ წინასწარმეტყველი, რომელიც თვითონვე წინასწარ განეწყობდა მისთვის სასურველი სიზმრის საწახავად.

მუხლი პირველი — სამნაირი სიზმარი ამ თავში გარკვეულია ის განსხვავებები, რომელიც არსებობს კარში მოცემული სიზმრის სამ ძირითად სახეობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ არ გავგანჩნა სრულყოფილი მასალა ამ თემაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად, შეძლებისდაგვარად შევეცდებით მკითხველამდე მივიყვანოთ მისი სრულყოფილი განმარტება.

განსხვავება სიზმრის პირველ და მეორე სახეობებს შორის არის ხუთი.

პირველი განსხვავება — ვინ ნახულობს ამ სიზმარს

წინასწარმეტყველური სიზმარი არასოდეს განეცხადება პიროვნებას, თუ იგი არ ფლობს ოთხ თვისებას:

1. აუცილებლად უნდა იყოს ბრძენი (ებრ. ხახამ)

2. უნდა იყოს წმინდანი (ებრ. კადოში ან ცადიკი)

3. უნდა იყოს გმირის თვისებების მქონე, ე.ი. თავგანწირული (ებრ. „გიბორ“)

4. უნდა იყოს მდიდარი (ებრ. „აშირ“).

ეს, რაც შეეხება სიზმრის პირველ სახეობას. სიზმრის ბოლო ორი სახეობა შეიძლება ისეთ ადამიანებს განეცხადოს, რომლებიც სრულყოფილად არ ფლობენ ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ღირსებას. მაგალითად, იოსებ ჰაციდიკი ჯერ კიდევ ახალგაზრდა — ყმანელი იყო, როდესაც განეცხადა სერიოზული სიზმარი. აგრეთვე ფარაონის ორი მინისტრი, რომლებიც სატუსალოში სასჯელს იხდიდნენ, ღირსნი გახდნენ ეხილათ ნამდვილი სიზმარი.

მეორე განსხვავება — ანგელოზის მონაწილეობა.

წინასწარმეტყველური სიზმარი არ არსებობს ანგელოზის შუამდგომლობის გარეშე. ამასთან ანგელოზი არ გამოეცხადება პიროვნებას ღმერთის ბრწყინვალეობის გარეშე, ე.ი. ანგელოზი პიროვნებასთან კონტაქტს ამყარებს უშუალოდ ყოვლისშემძლის დაჯავრებით, რაც დამახასიათებელია ყველა ნამდვილი წინასწარმეტყველისათვის. მაგალითად, ზუთნიგელის პირველი ნიგინიდან „ბერეშით“, ნანყვეტი „ვაიეცე“. როდესაც იაყაკობი განუცხადა და გაეცა თავისი ძმის — ესავისაგან მკვლელობის მუქარას, გზად მიმავალი დაიღალა, ნამოვნა და ღრმად ჩაეძინა. ძილი დაესიზმრა, თუ როგორ ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ანგელოზები ცადაზენილ კიბეზე. ზუსტად ამ დროს გამოეცხადა უფლის დიდება, რომლის ბრძანებით, ანგელოზებმა უწინასწარმეტყველეს კარგი მომავალი.

მაგალითად, მეფე შელომომზე დანერლია:

„და გამოცხადდა მასთან დიდება უფლისა და უთხრა მას ანგელოზმა“.

დანიელ წინასწარმეტყველი თავის ნიგნში ამბობს: „სიზმრად ვუყურებდი, თუ როგორ აღზევდა სავარძელი უზენაესის და მასზე დაბრძანდა უსასრულობის მფლობელი ღმერთი“. ამის შემდეგ, მოდის მასთან ანგელოზი და აცნობს წინასწარმეტყველებას.

სიზმრის მეორე სახეობის გარჩევის დროს, მიუხედავად იმისა, რომ დავალება უზენაესიდან მომდინარეობს, ანგელოზი ეცხადება პიროვნებას ღმერთის ბრწყინვალეობის თანდასწრების გარეშე.

მაგალითად, „ბერეშით“-იდან ფარაშა „ლევ ლეზა“, როდესაც ფელიშითილთა მეფე — ავიმელეხმა აბრაჰამის ცოლი ნაიყვანა, ამ დროს გამოეცხადა მას ანგელოზი და გააფრთხილა, რომ ქალბატონი სარახელმეუხებელი ყოფილიყო და თუ მაინც შეეხებოდა, სასტიკად დაისჯებოდა ის და მისი ერი.

მაგალითად, არამიელ ლაბანს — იაყაკობის სიმამრს, რომელიც სიძისადმი ცუდად იყო განწყობილი, გზად წამოეწია ღმერთის ანგელოზი და მისცა მკაცრი გაფრთხილება, რომ არ შეხებოდა იაყაკობს და მისი ოჯახის წევრებს ბოროტი განზრახვით. ამ მომენტში კი არსად არ არის ნახსენები უფლის გამოცხადების ფაქტი.



კობს და მისი ოჯახის წევრებს ბოროტი განზრახვით. ამ მომენტში კი არსად არ არის ნახსენები უფლის გამოცხადების ფაქტი.

ამ ეტაპზე უნდა გაუწყოთ, რომ ზუსტად სიზმრის ეს სახეობა შემორჩენილი კაცობრიობის დღევანდელ ყოფაში და ნაწილობრივ დაკავშირებულია წინასწარმეტყველებასთან.

1954 წლის წინათ, როდესაც იერუსალიმის წმინდა ტაძარმა — „ბეთ შამიკ-დაშმა“ მეორედ განიცადა ნგრევა და ანიკება, ებრაელთა მომეტებული ცოდვებით განრისხებულმა უზენაესმა ასე ბრძანა: „და მე დავფარავ ამიერიდან ჩემს პირსა და ბრწყინვალეობას მათგან, მაგრამ სიზმრად დაველაპარაკები მათ ანგელოზების მეშვეობით“.

თალმუდის ფილოსოფიაში ჩვეულებრივი სიზმარი შეზომილია როგორც წინასწარმეტყველების ერთი შესამოცვლი ნაწილი.

მესამე განსხვავება — სიზმარი ბუნდოვანია

განსხვავება წინასწარმეტყველურ სიზმარსა და ჩვეულებრივ სიზმარს შორის, არის შემდეგი: პიროვნება წინასწარმეტყველურ სიზმარს უყურებს და ისმენს ისე, თითქოს ნათლად უყურებდეს ყოველივეს, როგორც კარგად ნასწავლი გაკვეთილი.

ჩვეულებრივი სიზმარი კი, შეგრძნებით და მოჩვენებით შედარებით სუსტია და მწახველმა შეიძლება სიზმრის სრულყოფილი შინაარსი ვერ დაიმახსოვროს.

მაგალითად, ფარაონმა ერთი და იგივე მნიშვნელობის სიზმარი ორჯერ ნახა და ისეთი ბუნდოვანი იყო მათი ხილვისას, მისმა ვარსკვლავთმრიცხველმა და მკითხველმა ასავალ-დასავალი ვერ გაუგეს. ფარაონი, სიკვდილით დასჯის შიშით დაფეთებული მინისტრების რჩევით, იძულებული გახდა მოეხმო ებრაელი ტუსალი, იოსები.

ან: როდესაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონასერმა ნახა სიზმარი, მისი შინაარსი ვერ დაიმახსოვრა და ახსნაზე ზედმეტი იყო საუბარი. მეფის უამრავი ნაზირ-ვეზირებისა და ვარსკვლავთმრიცხველების მცდელობა, მეფისათვის ეამბნათ ნაწილი სიზმარი და მისი ახსნა, უშედეგო გამოდგა. მაშინ თვით დიდმა მოხელეებმა წარადგინეს დანიელ წინასწარმეტყველის კანდიდატურა, რომლის მეშვეობითაც იმპერატორმა გაიგო სიზმრის ზუსტი შინაარსი და რაღა თქმა უნდა, მისი უზუსტესი ახსნა-განმარტება.

როდესაც პიროვნება იხილავს წინასწარმეტყველურ სიზმარს, გამოვლიძების შემდეგ, მას თან ახლავს დიდი კმაყოფილებისა და სიამოვნების გრძობა, მაგრამ ჩვეულებრივი სიზმრის მხილველი ადამიანი გამოვლიძების შემდეგ, თავს გრძობს დაბნეულად, გაბოროტებულად და ბუნდოვანად.

### რაბი ამონის სიზმარი

დაახლოებით 900 წლის წინათ გერმანიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ დროისათვის ცნობილი პიროვნება — რაბი ამონი. იგი იყო შთამომავალი ღმერთიდან სიმდიდრით და სილამაზით განთქმული საგვარეულოსი.

მეფე და მისი მინისტრები ძალიან დიდ პატივს სცემდნენ რაბი ამონს, მაგრამ მათთვის საფიქრალი იყო ის, რომ რაბი

ამონი ეთავყენებოდა უფლის თორას და ებრაულ სარწმუნოებას, რომელიც მათ არ სიამოვნებდათ. ერთ მშვენიერ დღეს, მეფემ და მინისტრებმა დაიბარეს რაბი ამონი და შესთავაზეს, შეეცვალა სარწმუნოება და მისმა მინისტრებმა პირველ და მეორე შეთავაზებაზე ამონისაგან კატეგორიული უარი მიიღეს, მაგრამ ისინი მაინც დაჟინებით განაგრძობდნენ თხოვნას შეეცვალა სარწმუნოება. როდესაც რაბი ამონს მოსვენება არ მისცეს, მან მეფეს შეუთვალა, რომ დაფიქრებოდა და სამი დღის შემდეგ მისცემდა პასუხს

ერთი სათის შემდეგ, რაბი ამონმა შუბლზე ხელი იტაცა და იყვირა, — ეს რა სამინელი შეცდომა დავეუშვი! იმ წუთებიდან რაბი ამონმა შეწყვიტა ჭამა და სმა, ჩამოიხია ტანსაცმელი და განუწყვეტილ ტიროდა მოთქმით.

სამი დღის შემდეგ მეფის მიერ დათქმულ დროს, რაბი ამონი პროტესტის ნიშნად არ გამოეცხადდა. მეფემ ბევრჯერ შეუთვალა, მაგრამ მისგან (იგი უარი მიიღო. მეფის კაცებმა რაბი ამონი აიძულეს მეფესთან გამოეცხადებულყო.

რაბი ამონმა მეფეს სთხოვა, რომ თავის თავს თვითონვე გამოეცხადებინა და განაჩენს. აი, რა გადაუწყვიტა მან თავს. ის ენა, რომელმაც სიცრუე ილაპარაკა, მოიკვეთოს და დაისაჯოს.

მეფემ უთხრა: — ენას დანაშაული არ ჩაუდენია, აქ, ამ შემთხვევაში დამნაშავეა ფეხები, რადგანაც არ შეასრულეს დანაპირები.

ამიტომ მეფემ გასცა ბრძანება, მოეკვეთათ ფეხის თითები, შემდეგ ფეხები, ხელების თითები და შემდეგ ხელეფი.

ასეთი დასახიჩრებული რაბი ამონი დაანვინეს საკაცებზე, გვერდით დაუღავეს თავისი მოკვეთილი სახსრები და გაუგზავნეს მის ცოლსა და შვილებს.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ებრაული ახალი წელი — „რომ ჰამანა“ ახლოვდებოდა.

ახალ წელს, დილით, რაბი ამონმა ოჯახის წევრებს სთხოვა, აუცილებლად წაეყვანათ სალოცავში. იქ იგი მიუახლოვდა მლოცველს, ე.ი. ხაზანს და უთხრა შეჩერებულიყო. მლოცველი მზად იყო დაეწყო „მუსაფის“ ლოცვა და ამ დროს რაბი ამონის პირიდან ამოხეთქა ძლიერმა ტკბილმა ხმამ და დაიწყო სიმღერა რომლის შინაარსიც მსმენელს უამბობდა „რომ ჰამანის“ დღის მნიშვნელობას და ღმერთის სინამდინეს სამართალთან დაკავშირებით. სიმღერა, რომელსაც ეწოდება „უნთანე თოკეფ“. მოთავსებულია ახალი წლის ლოცვების ნიგნში „მუსაფის“ ლოცვის ნინ.

ამ სიმღერის დამთავრებისას, რაბი ამონი თვალს მიეფარა — მას შემდეგ იგი ფიზიკურად აღარავის უნახავს.

სამი დღის შემდეგ „რაბი ამონი სიზმარში გამოეცხადა იმ ქალაქისა და ქვეყნის მთავარ რაბის — რაბი კოლონიმუსს — რაბი მეშულამის ძეს. და სიზმარში ასწავლა ის სიმღერა — „უნთანე თოკეფი“ და თან დაავალა, გაეგრძელებინა — ქალაქებში და ჯამაათებში, რათა ყოველ წელს, „რომ ჰამანაში“ და „ქიფურში“, მუსაფის ლოცვის ნინ ემღერათ ეს სიმღერა აქენაზური ანუ ევროპის ებრაელების ტრადიციის მიხედვით. ამ სიმღერას ყველგან მღერიან.

ეს სტატია ეკუთვნის იმ წიგნის ავტორს რაბი შემუელ ფანიკაშვილს, რომელსაც ჰქვია „სიზმრების ფილოსოფია“. იგი ავტორია კიდევ ორი წიგნისა, ერთს ეწოდება „ბედნიერი ქორწინება“ და მეორეს „კოლ ისრაელი“ — სალოცავი სიღურთი. გამოსაცემად გამზადებული აქვს მეოთხე წიგნი „ებრაული მედიცინა“. მისი წიგნების სპეციფიკა იზიდავს ყველა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველ ებრაელს. ისინი ქართულ და ებრაულ ენაზე გამოიცა, ამიტომაც აქტუალურია ყველგან. ჩვენი გაზეთის რედაქცია რაბი შემუელ ფანიკაშვილს უსურვებს წარმატებებს პირად ცხოვრებაში და ჯანმრთელობას.

# ჩვენი თემის ყოველდღიურობა

4 ივნისს თბილისის დიდ სინაგოგაში შედგა შეხვედრა საქართველოს ებრაელთა კავშირის თავჯდომარე, თბილისის დიდი სინაგოგის გაბაის მერაბ ჩანჩალაშვილსა და ორგანიზაცია ჰილელის წევრებს შორის.

შეხვედრის მიზანი იყო უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი და გავგვეჩვენა რა იყო მიზეზი, რომ ბოლო წლებში ჰილელის ხელმძღვანელობის მიმართ დაგროვდა მრავალი შეკითხვა, მათი და ორგანიზაციის ანტირელიგიური და არაებრაული ქმედებების შესახებ, გვსურდა უშუალოდ გაგვეგო წევრების პირადი აზრი. შეხვედრას ჰილელის მიერ წარმოდგენილი სიის 65 წევრისგან დაესწრო 19 ადამიანი? (ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით სიაში ნახსენები ბევრი ადამიანი უკვე მრავალი წელია არ ცხოვრობს საქართველოში ან თუ ცხოვრობენ არ მონაწილეობენ ორგანიზაციის ღონისძიებებში) დამწრე პირებიდან რამდენიმე განაცხადა რომ ისინი არ არიან წევრები და აქ წარმოდგენენ როგორც „ჰილელის მეგობრები“, ჩემთვის ეს ტერმინი და მათი დასწრება ჰილელის წევრებისათვის მონაწილე შეხვედრაზე ცოტა გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც მივეცი შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება, რომლის დროსაც ძირითადი საკითხი იყო ამ ბოლო დროს ევანგელურ-ბაბტისტურ ეკლესიაში ე/წ სინაგოგის გახსნა.

ეს ფაქტი არის საქართველოს ებრაული თემის ეროვნული და რელიგიური მრწამსის შეურაცყოფა, ახალგაზრდებს აუხსენით თუ რატომ არის ეს ჩვენი რელიგიისთვის და მითუმეტეს საქართველოს ებრაული თემისთვის მიუღებელი, თემისთვის რომელსაც ამ ქვეყანაში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ასეთი მკრეხელობა მათთვის არ უკადრებია არავის. მითუმეტეს მიუღებელი და აღმაფოთებელია ამ ანტიებრაულ საქმეში ებრაული ორგანიზაციის წევრების მონაწილეობა.

გაირკვა რომ დამსწრე ახალგაზრდების ნაწილი არ იზიარებდა და არ იყო ჩართული ამ ანტიებრაულ და ანტირელიგიურ საქმიანობაში, ხოლო დანარჩენებმა მონაწილეობა ახსნეს იმით რომ ისინი შეცდომაში იყვნენ შეყვანილი ისრაელის წინა ელჩის რან გიდორის მიერ. მე როგორც საქართველოს ებრაული კავშირის თავჯდომარემ შევთავაზე ახალგაზრდებს თანამონაწილეობა სხვა და სხვა ღონისძიებებში იმ პირობით რომ ამ ღონისძიებებს და ქმედებებს მოჰყვება შედეგები, რომელსაც ჩვენი ხალხი დაინახავს და იგრძნობს, ამ ღონისძიებების ძირითადი და უპირველესი მიზანი უნდა იყოს ებრაული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნება.

შეხვედრის დროს ქეთი ჩიქვილაძის მიერ მოცემულ განმარტებებს მოჰყვა ცხარე საუბარი მასთან, ჰილელის დამფუძნებელ მორის კრიხელს და ჩემს შორის, რომელიც სულ ცდილობდა პრობლემის შერბილებას და ყველაფრის გამართლებას უნებლიე შეცდომებით, მიუხედავად იმისა რომ ბოლო 5-7 წელია მე მასთან ხშირად მქონდა საუბარი იმაზე რომ მივესალმებოდით ამ ორგანიზაციაში არაებრაული ახალგაზრდების ჩართულობას, იმ მოთხოვნით რომ ებრაული ორგანიზაციის ქმედებები, მისი ხელმძღვანელობის სახით არ უნდა აყენებდეს შეურაცყოფას ებრაულ მემკვიდრეობას და ებრაულ ტრადიციებს.

მათ არ მიიღეს ზომები ამის გამოსასწორებლად, მორის კრიხელი კი არ ან ვერ ფლობს სიტუაციას, მეტიც ჩემის აზრით ის რაღაც გაურკვეველი მიზეზ-

ებით (დრო ყველაფერს გაარკვევს) ვერ ახდენს რეაგირებას მის მიერ დანიშნული დირექტორის და მის მეუღლის არასწორ ქმედებებზე? (ოფიციალურად რეესტრის ამონაწერი დირექტორი ისე მორის კრიხელია)

ამ შეხვედრის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ქეთი ჩიქვილაძის არა გულწრფელობაში და ლიად დავაყენე საკითხი მორის კრიხელის წინაშე რომ ორგანიზაციის გადასარჩენად და გასაჯანსაღებლად უმჯობესი იქნება დირექტორის და მმართველი ჯგუფის შეცვლა, რაზედაც მიპასუხა რომ მოიფიქრებდა. ყოველივე ამის შემდეგ მაინც მივიღე მათი მიწვევა მათთან ოფისში მისასვლელად ორგანიზაციის საქმიანობის უკეთ გასაცნობათ. ასევე დაეთანხმდი მორის კრიხელის წინადადებას ამ შეხვედრის შესახებ ერთობლივი ურთიერთ შეთანხ-

მებული წერილის გამოქვეყნებას.

წერილის პროექტი მივიღე მეორედ დღეს, რომელშიც საერთოდ არ არის დაფიქსირებული ჩემი განსხვავებული აზრი და წინადადებები, ვაპირებდი ტექსტის შეთანხმებას მათთან და გავიგე რომ ეს ჩვენი წერილი შეთანხმების დარღვევით უკვე გადაეგზავნათ სხვა პირებს, რომლებსაც შეექმნებათ არასწორი წარმოდგენა ჩვენი შეხვედრისა და თუნდაც ჩემი ქმედებების შესახებ, როცა ლიად ვაკრიტიკებ მათ და ამ შეხვედრის დროს თურმე სრული თანხმობა გვქონია. მე ვთვლი რომ ეს არასწორი და არაპარტნიორული ქცევაა. უკვე ამერია სათვალავი დაშვებული

„შეცდომების“, ვითომდა მონაწილეს, არც ვენდობი და არც მაქვს სურვილი ამ არასანდო სუბიექტებთან ურთიერთობისა, მხედველობაში მყავს მორის კრიხელი, ქეთი ჩიქვილაძე და მათი გუნდი.

მე მზად ვარ და მოვუწოდებ ებრაული ახალგაზრდული ორგანიზაცია ჰილელის საღად მოაზროვნე წევრებს, რომლებიც არ არიან გარეული ამ არაჯანსაღ ქმედებებში, თუ გსურთ ებრაული და საერთოდ ქართულ-ებრაული ისტორიის ტრადიციულ კალაპოტში გაგრძელება, მზად ვარ თანამშრომლობისათვის, პროექტების განხილვისათვის და მათ რეალიზაციაში თანამონაწილეობისათვის.

პირადად მე, სანამ არ შეიცვლება ჰილელის ხელმძღვანელობა არ ვაპირებ მათთან თანამშრომლობას, მოვუწოდებ მათ რომ ასპარეზი დიდა, ჩამოაყალიბონ სხვა გასართობი თუ თვითსარეკლამო ორგანიზაცია, ნუ ეფარებიან სიტყვას ებრაულს, რადგან ისინი თავისი ქმედებებით იქცევიან როგორც არაებრაელები და ძირს უთხრიან ყველაფერს ებრაულს და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. მათი საქმიანობის შედეგად დავრწმუნდი რომ ეს არის ანტი-რელიგიური და ანტი-ებრაული ჯგუფი და მოვუწოდებ ებრაულ ახალგაზრდებს, მათ მშობლებს მორი-დეთ მათ ჩვენი შვილები რათა ნებსით თუ უნებლიეთ არ ჩაითრიონ ისინი თავიანთ საქმიანობაში.

ჩემს წერილთან ერთად ვაქვეყნებ მორის კრიხელის მიერ გამოგზავნილ წერილს სამწუხაროდ არა მარტო ჩემთვის, რათა ხალხმა ნახოს ორივე, დაფიქსიროს თუ როგორ არის დამახინჯებული ერთი პატარა სიკეთის სახელით საჭირო შეხვედრის აზრი, არ იყო საჭირო ასეთი თვალთმაქცობა, აზრის და დასკვნების დამახინჯება.

**„საქართველოს ებრაელთა კავშირის“ თავჯდომარე თბილისის დიდი სინაგოგის გაბაი მერაბ ჩანჩალაშვილი**

ებრაული ახალგაზრდული ფონდი  
„ჰილელი თბილისი“



The Jewish Youth Foundation  
“HILLEL-TBILISI”

## შეხვედრა საერთაშორისო ებრაული სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჰილელი-თბილისის“ და საქართველოს ებრაული კავშირის თავჯდომარესა და თბილისის დიდი სინაგოგის ხელმძღვანელის, ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილის შორის

2023 წლის 4 ივნისს თბილისის დიდ სინაგოგაში შედგა „ჰილელი თბილისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მორის კრიხელის, ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ქეთი ჩიქვილაძის, ორგანიზაციის 20 წევრისა და საქართველოს ებრაელთა კავშირის თავჯდომარის და თბილისის დიდი სინაგოგის ხელმძღვანელის, ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილის შორის შეხვედრა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საკითხები:

- 2022 წლის დასაწყისში ისრაელის ყოფილი სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის, ბ-ნ რან გიდორის მიერ „ჰილელი-თბილისის“ საინიციატივო ჯგუფს წარედგინა „მშვიდობის პროექტი“ - კონფესიონალური შორის დიალოგი, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ პროექტს აღმოაჩნდა ღრმა რელიგიური ფორმატი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო „ჰილელის“ და აქედან გამომდინარე „ჰილელი-თბილისის“ კონცეფციას. ზემო ხსენებულიდან გამომდინარე, „ჰილელი-თბილისი“ წყვეტს ურთიერთობას „მშვიდობის პროექტთან“ და მომავალში აღარ მიიღებს მასში მონაწილეობას.
- განხილული იქნა „ჰილელი-თბილისის“ და დიდი სინაგოგის სამომავლო ერთობლივი პროგრამების დაგეგმარება-განხორციელება ორთვესაც უახლოეს მომავალში დაიგეგმება შეხვედრა „ჰილელი-თბილისის“ საინიციატივო ჯგუფსა და დიდი სინაგოგის საინიციატივო ჯგუფს შორის.
- კიდევ ერთი განხილული საკითხი გახლდათ „ჰილელი-თბილისის“ სტუდენტების ჩართულობა ებრაული თემის პროექტებში.
- ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილი მოწვეულ იქნება უახლოეს ღონისძიებაზე, რომელიც ჩატარდება „ჰილელი-თბილისის“ რათა უკეთ გაეცნოს ორგანიზაციის მუშაობის შინაარსს და მეთოდებს.
- შეხვედრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო „ჰილელი-თბილისის“ წევრებსა და დიდი სინაგოგის გაბაის ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილის შორის ურთიერთობების გამყარების შესახებ პირობის დადება.
- თავის მხრივ დიდი სინაგოგის ხელმძღვანელმა ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილმა სრული მზადყოფნა გამოუცხადა „ჰილელი-თბილისის“ წევრებს სალოცავში მიღებაზე და აღუქვა ყოველგვარი სახის მხარდაჭერა ურთიერთობის და თანამშრომლობის გასაორმაველად.
- შეხვედრის შედეგად „ჰილელი-თბილისის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ქეთი ჩიქვილაძემ, და მისმა მეუღლემ, მიხეილ გრიშაშვილმა მიიღეს გადაწყვეტილება უარი ეთვათ „მშვიდობის სინაგოგის“ შამაშების სტატუსზე.

საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N109. 109, Aghmashenebeli Ave., Tbilisi, Georgia  
ტელ : +995 577 04 32 tel/faxsi: +995 577 04 32 53 ელ-ფოსტა : Tel: +995 577 04 32 53, E-Mail: tbilisi@hillel.su  
Tbilisi@hillel.su

საქართველოს ბაიო ქანსათეაზი (სინაგოგაჰი)

ებრაული განათლება ქუთაისში და ქუთაისის თალმიდ-ხახმები (რაბები)

როგორც აღვნიშნეთ, „დიდი ლოცვის“ შენობა „პატარა ლოცვისასთან“ ერთად წარმოადგენს დიასპორის ებრაული საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული კომპლექსს. ამ კომპლექსში შედის აგრეთვე ებრაული ცალკე მდგომი, 1912 წელს აგებული შენობა, რომელსაც მოგვიანებით მეორე სართული დაემატა. ამ შენობაში თავიდან ბეით მიდრამში, იემივა (ებრაული სასულიერო სასწავლებელი, სემინარია) იყო. კომპლექსში შედის სხვა დამხმარე ნაგებობებიც, რელიგიური რიტუალებისათვის საჭირო ოთახებით, მაგალითად ნათლობისათვის, ქეთუბისათვის (საქორწილო ხელშეკრულება), სეყუდებისთვის (აღსანიშნავი წვეულება) და სხვა. ზოგ მათგანს ადრე მოყვებულნი (დღესასწაულებში) მლოცველების სიმრავლის გამო სალოცავ ოთახებადაც იყენებდნენ. ამ შენობებში ხდებოდა ებრაული (ივრითი) ენის შესწავლა. აქვე, ცალკე შენობა უჭირავს საკლავს (საკლავი ადგილი წვრილფეხა საქონლისათვის, ფრინველისათვის). საკლავს ემსახურება შოხეტი (სპეციალისტი, რომელიც საქონელს, ფრინველს კლავს). აქვეა რიტუალური მიკვე (აბანო), რომელიც განკუთვნილია ძირითადად ქალებისათვის რიტუალური (მაგალითად, ქეთუბის წინ) განბანვისათვის. კომპლექსში შედის ქაშერი (ებრაული წესების თანახმად საკვებად ვარგისი) ხორცის გასაყიდი მალაზია, სადაც იყიდება აქვე დაკლულ-გასუფთავებული და შოხეტი-საგან ნებადართული საკლავი. ადრე ამავე კომპლექსში შედიოდა რიტუალური ფურნე (საცხობი), სადაც ცხვებოდა დღესასწაულ ფესახისათვის საჭირო მაცა (გაუფუარი პური). დღეს ეს ფურნე გაუქმებულია, ვინაიდან ფესახისათვის გამზადებული მაცა ისრაელიდან ჩამოდის.

დიდი ლოცვის პირველი რაბი იყოსიმონ (სიმან) მოშეს ძე რიჟინაშვილი (1854-1902 წ.წ.). მან ჯერ საქართველოში (1889 წ.), შემდეგ კი იერუსალიმში (1892 წ.) გამოაქვეყნა ებრაული ენის სახელმძღვანელო „სეფერ ხინუხ ჰანეყარიმ“-ის სახელწოდებით („ყრმათა აღზრდის წიგნი“ ან „ყმანვილთა აღზრდა“). აი რას სწერდა ზაქარია ჭიჭინაძე 1904 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „ქუთაისის ებრაელთა სასულიერო გამგეობის უფროსი რაბინი ითვლება მთელი ქუთაისის გუბერნიის ებრაელთა რაბინათ. მათში ცნობილი იყო რაბინი არონ რიჟინაშვილი. დიდი ხანი არ არის, რაც ეს რაბინი გარდაიცვალა. ამ ცნობილმა რაბინმა ებრაელთა ბავშვთათვის ურთული სასოებით ქარულ-ებრაული სახელმძღვანელო შეადგინა და იერუსალიმს დაბეჭდა 1898 წ. საზოგადოთ, ეს რაბინი სწავლა-განათლების პატივისმცემელი იყო და დიდი მორჩილი მათის მერჯულეთა წარმატებისა. ამ წარმატების ნატვრას იგი წერილებით მწერდა მე, როცა პროფესორის ხვალსონის წიგნი ქართულად დაბეჭდეს“ ხმარობენ ურთები თუ არა ქრისტიანის სისხლს“. მისგან ამაზედაც მადლობის წერილი მივიღე. სხვაფრივაც შესანიშნავი იყო ეს ხსენებული რაბინი; დღეს მათში თითო-ოროლა

ჭკვიანი რაბინები აქა-იქაც მოიპოვებიან. ამას ჩვენ მართოდ ქართველთა ურიებთაგან ვასახელებთ, თორემ ევროპის ურიებთაგან მათი რიცხვი დიდია (აქ უნდა შევნიშნო შემდეგი: მოხსენებულია არონ რიჟინაშვილი და იერუსალიმში დაბეჭდვის თარიღი 1898 წ., რაც ჩემს მიერ გამოყენებული სხვა წყაროების მონაცემებისგან, რომლებიც წიგნის დედანს ეფუძნება, განსხვავდება. ზაქარია ჭიჭინაძის მონაცემების უზუსტობა არ ასუსტებს (სიმან) მოშეს ძე რიჟინაშვილის მისეულ ბრწყინვალე შეფასებას).

რაბი სიმონ (სიმან) მოშეს ძე რიჟინაშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო რომ ის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, თვლიდა რომ ებრაელ ბავშვებს რელიგიურ განათლებასთან ერთად საერო განათლებაც აუცილებლად უნდა მიეღოთ. მას და მის მომხრეებს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსალური რაბინების ჯგუფი. ისინი ფიქრობდნენ რომ საერო განათლების მიღება გამოიწვევდა ებრაელი ბავშვების „გადარჯულებას“. მათი დაპირისპირება წლების განმავლობაში გრძელდებოდა. სიმონ რიჟინაშვილი

გარკვეული წარმატებების მიუხედავად იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ქუთაისი (ასეთი მოვლენები, კონსერვატულს და პროგრესულს შორის ბრძოლის შედეგად, არა მარტო რელიგიურ წრეებში, სამეცნიერო წრეებშიც ხშირად ხდება). იგი შუა აზიაში, კერძოდ სამარყანდსა და ბუხარაში მიემგზავრება და რამდენიმე წელიწადი იქაურ ჯამაათს ემსახურება. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ქუთაისში ბრუნდება, ფიზიკურად გატეხილი, მაგრამ სულიერად კვლავ შემართული. იგი საკმაოდ ახალგაზრდა, 1902 წლის 5 აგვისტოს 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდი პატივისცემით დაკრძალეს. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ საკმაოდ მოზრდილი ღრმა პატივისცემით სავსე ნეკროლოგი მიუძღვნა მის ხსოვნას, შემდეგ ეს ნეკროლოგი გაზეთ „ივერიამაც“ გადაბეჭდა. საქართველოს ებრაელების არც ერთ რაბინს ს. რიჟინაშვილამდე (და არც შემდგომ, გასაბჭოებამდე) არ ღირსებია, რომ მასზე ქართულ პრესაში ნეკროლოგი დაბეჭდილიყოს.

1865 წელს ქუთაისის სალოცავებთან მხოლოდ ერთი ებრაული სკოლა (ხედერი) არსებობდა, 1881 წელს უკვე სამი ასეთი სკოლა მოქმედებდა 105 მოსწავლით, ხოლო 1898 წელს კი -155 მოსწავლით. 1902-1906 წლებში ქუთაისში მოქმედებდა

პირველდანიწყებითი ებრაული სკოლა, რომელშიც ებრაელთა ისტორიის პარალელურად ასწავლიდნენ საერო საგნებსაც (მაგალითად, მათემატიკა). 1906 წელს ქუთაისში გაიხსნა იემივა (ებრაული სასულიერო სასწავლებელი, სემინარია), რომლისთვისაც მოგვიანებით 1912 წ. „დიდი ლოცვის“ ეზოში ააშენეს შენობა (იხ. ზევით). მოგვიანებით მას მეორე სართული დაემატა. ნაგებობა სადაა და საცხოვრებელ სახლს ჰგავს. ის ლოცვის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ქუთაისის იემივას სათავეში ედგნენ რუსეთიდან საქართველოში მოვლინებულნი ჯერ რაბი შმუელ ლევიტინი და შემდეგ რაბი აბრაჰამ სლავინი

ქუთაისში მე-20 საუკუნის 10-იანი წლები ერთს მხრივ სიონისტური მიმართულების (რაბი დავით ბააზოვი, 1883-1947წ.წ.), და მეორე მხრივ რელიგიური ორთოდოქსალური მიმართულების მიმდევართა (რაბი რეუბენ ელუაშვილი (1858-1922 წ.წ.), მისი სიძე რაბი მოშე (ჰაკატან-უმცროსი) დავარაშვილი

არ აკმარეს, ციმბირში გადასახლეს და იქ მოუსწრაფეს სიცოცხლე. მოყოლებული 1910 წლიდან ქუთაისის ლოცვების რაბინებს შორის მოხსენებული არიან ისეთი სახელგანთქმული რაბინები და ხახამები, როგორებიც იყვნენ: რეუბენ ელუაშვილი, მიხაელ დავითაშვილი, ხაიმ ელიაშვილი (1888-1965წ.წ.), მოშე დავარაშვილი, იაკობ დავარაშვილი (1902-1988წ.წ.) იაკობ (ჰაკადოლ-უფროსი) ხუბელაშვილი, შალომ ჩიკვაშვილი და სხვ.). უნდა აღვნიშნო, რომ ყმანვილობაში მოშე დავარაშვილი, იაკობ დავარაშვილი (ცხინვალში რაბი აბრაჰამ ხვოლესის (1857-1931წ.წ.) თალმიდები იყვნენ. 1953 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ ნამდვილი ნადირობა დაიწყო რაბინებზე. ეს უკანასკნელნი იძულებულნი შეიქმნენ ცხოვრების არალეგალურ წესზე გადასულიყვნენ, ან ქალაქს გასცლოდნენ, ან სახლდასახლ ეძებნათ თავშესაფარი. რაბი იაკობ დავარაშვილი დაპატიმრეს, წვერი გაპარეს და სასტიკად სცემეს (დიდი პატივისცემით ვიხსენებ, რომ მე და ჩემს



სურათი 2.5. რაბიმოშე (ჰაკატან) დავარაშვილის დამფუძნებელი კრების წევრის მოწმობა

(1892-1980წ.წ.), რაბი მოშე რიჟინაშვილი) მწვავე დაპირისპირებით აღინიშნა. ამ უკანასკნელებმა 1918 წელს ქუთაისში ჩამოაყალიბეს რელიგიური ორგანიზაცია „აგუდათ ისრაელი“ („ისრაელისგაერთიანება“), რომლის წარმომადგენელი რაბი მოშე (ჰაკატან) დავარაშვილი, რუსეთში თორის სწავლა მიღებული, 1918 წელს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა, არჩეულ იქნა ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი (1919 წ.) დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრად (სურათი 2.5,ა).

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლები აღინიშნა ებრაული სკოლების დახურვით. მათ მხოლოდ არა ოფიციალურ, ნახევრად არალეგალურ პრობებში განაგრძეს არსებობა. 1923 წელს კი ანტირელიგიური პროპაგანდის ლოზუნგით სალოცავებიც დახურეს, რაბების დევნა დაიწყო, ზოგიერთი მათგანი გარკვეული დროით დაპატიმრებულიც კი ჰყავდათ. ჯამაათს ლოცვები მხოლოდ 1924 წელს დაუბრუნეს, მაგრამ მდგომარეობა განსაკუთრებულად გამწვავდა 1937-1938 წლებში, როდესაც რაბებს ისევ დევნა დაუწყეს, ხოლო ზოგიერთ მათგანს (მიხაელ დავითაშვილი, აბრაჰამ სლავინი, იემივას თავკაცი, 1916 წ. რუსეთიდან მოვლინებული), დაპატიმრებაც კი

მეუღლეს ქუთაისში 1971 წელს რაბი იაკობ დავარაშვილმა წაგვიკითხა ქეთუბა. მდგომარეობა მხოლოდ მარტის პირველი რიცხვების (5 მარტს სტალინი გარდაიცვალა) შემდეგ გამოსწორდა.

ქუთაისი წლების განმავლობაში ითვლებოდა ებრაული ტრადიციების დამცველად, რაბინთა ცენტრალურ სადარაჯოდ. აქაური რაბები თვალყურს ადევნებდნენ და ზედამხედველობდა გამოცხადდა, არჩეულ იქნა ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი (1919 წ.) დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრად (სურათი 2.5,ა).

აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ქუთაისის სალოცავების თემაზე მუშაობისას სხვა წყაროებთან ერთად ფართოდ გამოვიყენე ებრაელობის ისტორიის დიდებული მკვლევარის, ან განსვენებული დანიელ ხანანაშვილის სტატია „ქუთაისი“ წიგნიდან „ლოცვის კარები. ქუთაისის ებრაელობა“. თელ-ავივი, 2009 წ., შემდგენელი და გამომცემელი რობერტ გოლანი.

### დიდი ქალბატონის შეგონებანი

გოლა მინიერი



თუ გსურთ ააშენოთ ქვეყანა, რომელშიც თქვენი შვილები დაბრუნდებიან;  
 თუ გსურთ ააშენოთ ქვეყანა, რომელსაც ისინი მხოლოდ შეებრუნდებიან პე-  
 რიოდში დატოვებენ;  
 თუ გსურთ შექმნათ ქვეყანა, რომელშიც მოძალატის შიშის გრძნობა არ  
 გქონებათ;

გადავით ორი ნაბიჯი:

1. კორუფცია გამთავსებელი დასაქმების ტოლფასად - ხოლო კორუმპირე-  
 ბული თანამდებობის პირები შერაცხეთ ქვეყნის მოღალატეებად ქვეყნის  
 ბაძე.

2. სამი პროტესტის ადამიანები: სამხედროები, მასწავლებლები და ქალები, განაღებთ ყველაზე ძალადანაწილ-  
 რებად და პატივსაცემ პროტესტის წარმომადგენლებად და რაც მთავარია... იმუშავეთ, იმუშავეთ და იმუშავეთ -  
 რადგან არაფერს გიშეკლავთ, არაფერს დაგიტყვევებთ საკუთარი თავის გარდა.

თქვენ, მხოლოდ... თქვენ და არაფერს სხვას არ სჭირდება თქვენი ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა, როდეს-  
 საც ეს განდება არა უბრალოდ სიტყვები, ან, არა უბრალოდ ლოზუნგი, არამედ განდება თქვენი ცხოვრების  
 გზა, მაშინ მიაღწევთ მიზანს!

### იდეა და პიროვნება

#### გარდაცვალებიდან წლისთავის გამო



ერთობ მშვიდი კაცი იყო, აუჩქარე-  
 ბელი, აუღელვებელიც. ასეთი შთაბეჭ-  
 დილება შემექმნა მასთან პირველი შეხ-  
 ვედრისას: ვისხედით მის ოთახში, ქ-ნი  
 ნატაშას მიერ სახელდახელოდ გამომ-  
 ცხვარ ხაჭაპურს გეახლებოდით და ამ  
 სულ რაღაც ნახევარი საათის წინათ  
 გაცნობილ ადამიანთან ისე ვბაასობდი,  
 თითქოს ათასი ფუთი მარილი გვეჭამოს  
 ერთად. ვსაუბრობდით საქართველოზე,  
 ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ ებრა-  
 ელობაზე, აქაური ცხოვრების წესზე.

მასთან იმ საქმემ მიმიყვანა, რასაც  
 ის ასეთი გულმოდგინებით აკეთებდა —  
 კაცსა და მის საქმეს ერთმანეთს ვუკა-  
 ვშირებ: კაცი იგივეა, რაც მისი საქმე —  
 ე.ი. რასაც აკეთებს და როგორც აკეთებს.  
 პიროვნება ანხორციელებს თავის იდეას,  
 რომელიც შემდგომში მის მთავარ, ან რი-  
 გით საქმედ გადაიქცევა. იდეის განხორ-  
 ციელების პროცესი აყალიბებს პიროვნე-  
 ბას.  
 სიმონ კრიხელის ცხოვრების მთავარი  
 საქმე - გაზეთი „დავითის ფარის“ გამო-  
 ცემა და არსებობა ადამიანურ მამაცო-  
 ბად მიმაჩნია.  
 ჩემი სტუდენტები ხშირად მეკითხე-  
 ბოდნენ: გაზეთი რა არის, როგორ დაი-

წყოო გაზეთის არსებობა. შორეულ  
 საუკუნეებში ამათუ იმ ინფორმაციას  
 დაფებზე ამოკვეთდნენ, იმ დაფებს გზა-  
 ჯვარედინებზე დგამდნენ და ადამიანები  
 იგებდნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან  
 ამბებს. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში,  
 ვიდრე გუტენბერგი სტამბის შექმნით  
 გადატრიალებას მოახდენდა, ხელით  
 დაწერილ ინფორმაციას ავრცელებდნენ.  
 მთავარი ინფორმაცია რა იყო? ის, თუ  
 რომელი გემი როდის შემოვიდოდა  
 ნავსადგურში და რა საქონელი მოჰქონ-  
 და თან. ე.ი. ვაჭრობის განვითარებამ  
 აუცილებელი გახადა ინფორმაციის მი-

წოდება და ადამიანებმაც მონახეს  
 საამისო გზა.  
 იმ საინფორმაციო ფურცლებ-  
 ში წვრილ ფულს-გაზეტეს-იხ-  
 დიდნენ.  
 სიმონ კრიხელს არც სათანა-  
 დო პროფესიული ცოდნა ჰქონდა,  
 არც -გამოცდილება. გაზეთი  
 არასოდეს უკეთებია, ნაუკითხ-  
 ავს მხოლოდ. კაბინეტი, მდივანი  
 (ყავა რომ მოუდულოს და რედაქ-  
 ტორთან შეხვედრის მსურველ  
 ადამიანს უთხრას „რედაქტორი  
 ძლიერ დაკავებულია, უახლოესი  
 სამი დღე ვერ მიგიღებთ“) არ  
 უძებნია. დაჯდა და დაიწყო იმ  
 საქმის კეთება, რომელიც ესოდენ  
 აუცილებლად მიიჩნია. ეს კი ნიშ-  
 ნავს: საბჭოური ძონძებით კი არ  
 წავიდა ამერიკაში, ცხოვრების,  
 ურთიერთობის იქაურ წესით  
 შეუდგა საქმეს. გარემომცველმა  
 სამყარომ, ყოფამ უკარნახა იდეა  
 და იწყო იდეის განხორციელება.  
 ეს კიდე ერთხელ გვიმტკიცებს:  
 ცხოვრების მამოძრავებელი არის  
 იდეა და ადამიანი, რომელსაც ძა-  
 ლუძს იდეის ხორცშესხმა.  
 ერთ ათეულზე მეტი ხნის განმავ-  
 ლობაში გამოდიოდა „დავითის ფარი“,  
 ე.ი. ამდენი წელიწადი კეთდებოდა საქმე,  
 რომელიც ჩვენგან ნიუ-იორკში ემიგრირ-  
 ებულ ებრაელობას სჭირდებოდა.  
 მხოლოდ მას?  
 ეს გაზეთი ჩვენც გვჭირდებოდა -  
 ამერიკიდან შორს მცხოვრებ ებრაელო-  
 ბას. როცა ამ გაზეთს ვეცნობოდი, ისეთი  
 შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს დღე-  
 საც იქა ვარ -ქვინსში, იმ შესანიშნავი  
 ადამიანების წრეში. სწორედ „დავითის  
 ფარის“ მეოხებით ვტყობილობდი, თუ

როგორ ცხოვრობს დღეს ამ ქალაქის ქა-  
 რთველი ებრაელობა, ისევე ჩამესმოდა  
 რაბი აბრამ აშვილის ხმა - იგი კვლავაც  
 ჩინებულად — ჩემი სმენისა და გულის  
 საამო, ახლობელი ნიგუნით ლოცუ-  
 ლობდა, კვლავ იქ ვიყავი -ოთარ სეფი-  
 აშვილის „სტუდიოში“ — ვისმენდი მის  
 საგულდაგულო ბაასს, ვათვლიერებდი  
 ცისანა ჯანაშვილის ტილოებს, ისევე ბ-ნი  
 კოკი სეფიაშვილის, ნოდარ პარლაგაშვი-  
 ლის ოჯახურ გარემოცვაში ვიყავი და და  
 ვსაუბრობდით ჩვენს წარსულზე, დღე-  
 ვანდღელობაზე.  
 ამ გაზეთიდან სასიამოვნო ინფორმა-  
 ციასაც ვღებულობდი და უსიამოვნოსაც:  
 მრავალი ნაცნობი, თუ ჩემთვის ახლობე-  
 ლი ადამიანის სახე ვიხილე შავ არშიაში,  
 მაგრამ ვაი, რომ ცხოვრებას ესეც ახ-  
 ლავს!  
 კიდეც ერთი დასტური იმისა, რომ  
 პიროვნება, მისი ნება მამოძრავებელი  
 ძალა: წავიდა სიმონ კრიხელი და მისი  
 საქმეც — „დავითის ფარის“ სიცოცხ-  
 ლეც შეწყდა, თუმცა, დღეს ნიუ-იორკის  
 ქართველ ებრაელობას ალბათ, აღარც  
 სჭირდება ქართულენოვანი გაზეთი: ის,  
 ვინც ამ გაზეთის მკითხველი გახლდათ,  
 ცხოვრების ასპარეზიდან გავიდა, ან  
 გადის, ახალი თაობა კი ისეა ადაპტირე-  
 ბული გარემომცველ სამყაროსთან, რომ  
 ქართული გაზეთის არარსებობას ვერც  
 გრძნობს  
 და ეს სავსებით ბუნებრივია.  
 ე.ი. სიმონ კრიხელის პიროვნული  
 ფიგურა გამოიკვეთა საჭირო დროსა და  
 საჭირო ადგილზე!  
 გურამ ბათიაშვილი  
 მწერალი, დრამატურგი. საქართვე-  
 ლის სახელმწიფო პრემიის  
 ლაურეატი, ხელოვნების დამსახურე-  
 ბული მოღვაწე.

# სახეები და სიტუაციები

გურამ ბათიაშვილი

## მიუხედავად ყუმბარების ცვენისა ...

2014 წლის ზაფხულს ვიგონებ: „ჰამასი“ ისრაელის ქალაქებს რაკეტებს უშენს. ამ საშინელი შეტევების დანახვები, მესამე, თუ მეოთხე დღეს, ნიუ-იორკიდან მირეკავენ: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა (მეკ) გადაწყვიტა, ამ მძიმე დღეებში ისრაელის მოსახლეობას სოლიდარობა გამოეცხადოს — უნდა ჩავიდეთ ისრაელში. თქვენ, როგორც მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, თუ მოახერხებთ და ხვალ იერუსალიმში ჩამოფრინდებით, ძალიან კარგი იქნებაო. მომდევნო დღიას გავეფრინდი. იერუსალიმში ტაქსში ჩავჯექი და სასტუმრო „კინგ დევიდისაკენ“ მიმავალი, საჰაერო განგაში წამოგვეკენა. ე.ი. რაკეტა იერუსალიმს უახლოვდება. თავშესაფრის ძებნის დრო აღარ არის, ტაქსიდან გადმოვხტები და ინსტრუქციისამებრ, მიწაზე დავწვები. რაკეტა სადღაც ახლოს ჩამოვარდა. ამჯერად ასე დაინყო ჩემი მოგზაურობა ისრაელში. ოთხი დღის განმავლობაში იყო უამრავი შეხვედრა სამხედრო ნაწილებში, დაბომბილი ქალაქების მოსახლეობასთან, საზენიტო ბატარიის — „რკინის გუმბათის“ (რაკეტებს ჰაერშივე რომ ანეიტრალებს) ჯარის გოგონებთან. მიგვეკონდა საჩუქრები, ვესაუბრებოდით, ვცდილობდით გავგეგმვინებინა. სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ჩასულ ებრაელ მოღვაწეებთან შეხვედრები, საუბრები, თანადგომის გამოცხადება, მათთვის, მართლაც, მნიშვნელოვანი გამოდგება. ყოველი დღე გვარწმუნებდა, ისრაელელთა მედგარ სულისკვეთებაში, მამაცობასა და მხნეობაში, თუმცა, გამოჩნდებოდა ნინა დღეს, მოხდა ერთი ისეთი რამ, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რაოდენ უდრეკი ნებისყოფის ადამიანებითაა დასახლებული ეს ქვეყანა: დაგვემთხროს გახლდათ ლაზარს სექტორის მეზობელი სოფლის — ზიკიმის — კიბუცის ჩასვლა. იერუსალიმიდან დილის რვა საათზე გავემგზავრეთ. საათნახევარში სასაზღვრო სოფელ ზიკიმში ვიყავით. აგერ ჩვენს გვერდით და თვალწინ ლაზარს სექტორის პალესტინური სოფელია. აი, ვიდაცას ეზოდან მანქანა გამოჰყავს, იქით ეზოში კი ბავშვები დარბიან, კიბუცის წევრებს ვესაუბრებით. ამ სოფელს 7-10 წამი თუ აქვს თავის საშველად — თავშესაფარში ჩასასვლელად. ჩვენც მომავალი ერთობ მოხუცი კაცი შევამჩნიე — ჩემი ყურადღება ამ ასაკის ადამიანებისათვის თითქმის უჩვეულო სამოსით მიიქცია — თეთრი ბოჭკოსები და ჯინსის შარვალი ეცვა. „შეხედე, იმ მოხუცს, როგორ ჰგავს ისრაელის პრეზიდენტ მიმონ პერესს“ ვეუბნებდი მოსკოვის მიხ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ მიხ. ჩლენოვს. იგი მოხუცი აკვირდება და მასსუბობს: „გურამ, კი არ ჰგავს, პრეზიდენტი პერესია!“ ასეც აღმოჩნდა. მიმონ პერესი მოგვიახლოვდა, მივეკებეთ, მეკის პრეზიდენტი როლანდ ლაუდრეი მოეხვია, „

შტინი კუთხეში დგას — არც შეუმჩნევიათ. მოგვიანებით შემოგვიერთდა. მშვიდი, აუჩქარებელი მუსიკა. მე კი ვფიქრობ: მიმონ პერესი დღეს 91 წლისაა, ათიოდ დღეში პრეზიდენტობის კადენცია ენურება, ამ ხნის კაცი, რაკეტების ცვენას არ შეუშინდა. კაბინეტში კი არ დაგველოდა, აქ — საზღვართან მოვიდა. შეიძლება ამ ხალხის დამარცხება? შეიძლება დასჯაბნო ერი, რომელიც ყველაზე კრიტიკულ მომენტში, სიკვდილის პირისპირ მშვიდად, აუჩქარებლად მსჯელობს ხვალისდელ დღეზე?“ რაკეტა სადღაც დაეცა. თავშესაფრიდან ამოვედით, კიბუცის ეზოში ვდგევართ, საუბარი გრძელდება. სამიოდ წუთში ისევ განგაში... თავშესაფარისაკენ მივეშურებით, მიმონ პერესი ედელმტეინს მოუბრუნდა რაღაცას ეკითხება. მე კი თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში მის მიერ წარმოთქმული დიდებული სიტყვა მაგონდება. კვლავ თავშესაფარში „ჩავალადით.“

## პატარა ქვეყნის დიდი მწერლობა

კარგი რომანებია ჯორჯ ორუელის „1984“ და „ცხოველთა ეზო“ (ეს უკანასკნელი ვაშინგტონის „სინთეტიკ თეატრი“ ვნახე ჩინებულად გათამამებული ამ თეატრის ხელმძღვანელის — პატარა ციფერანტილის რეჟისურით. იქ „ცხოველთა ფერმა“ ერქვა და ასე მგონია, ეს სათაური უნდა სჯობდეს) კარგად იკითხება. ეს არის და ეს!

მაგრამ მძლავრ, ვნახით, თუ როგორია, ამ რომანებისადმი მსოფლიოს სალიტერატურო და საგამომცემლო სამყაროს დამოკიდებულება: რუსულ ენაზე ეს რომანები გამოცემულია სერიით „მსოფლიო კლასიკა“. ე.ი. ეს ნაწარმოებები მსოფლიოს კლასიკურ ქმნილებათა შორის გახლავთ. ასე გამოუცხიათ და მე რატომ უნდა აუხიროდე — არ მჯერა, რომ ასე — არ მჯერა, რომ ეს რომანები მსოფლიოში შექმნილი დიდებულ ნაწარმოებთა ბადალია და არც ახირებას გაპირებ, მაგრამ... აი, სწორედ ეს „მაგრამ“ გახლავთ მნიშვნელოვანი, რადგან იგი გამოკვეთს ქვეყნებისადმი, ერებისადმი და აქედან გამომდინარე, მავანთა და მავანთა დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი.

როგორც „ცხოველთა ფერმა“, ისე „1984“, ცხადია, სრულიად სხვადასხვა კუთხით, სრულიად განსხვავებული ლიტერატურული ფორმითა და ხერხით, წარმოგვიდგენს ტოტალიტარული რეჟიმის არსს და მის გავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე, ქვეყნებზე, ადამიანებისადმი, მოვლენებისადმი დამოკიდებულებაზე — თუ „ცხოველთა ფერმა“ ალეგორიული ნაწარმოებია და ტოტალიტარიზმის წევრად ადამიანებზე ზოგისთვის რთულად, ზოგისთვის კი იოლი ამოსახსენელია, „1984“ სრულიად რეალისტური, ყოფითიც კი, თხზულებად და გვაჩვენებს პიროვნების, ამ შემთხვევაში, უინსტონ სმიტის დრამატულ ბედს ტოტალიტარულ გარემოში.

ვიმეორებ: ერთი (და მეორეც კარგი ნაწარმოებია. ეს არის და ეს! არცერთი არ გახლავთ ის თხზულება, რომელიც ალფრედოვანებას მომგვრის. ვკითხულობ მშვიდად, თანაგაცნობის გარეშე. მაშ, რაღად ვნერ ამ პატარა ოპუსს — იმისთვის, რომ ეს რომანები, მათი ავტორი გაეკრიტიკოს? არა, — არც ნაწარმოებთან, არც ავტორთან არა-რა საკამათო არ მაქვს — ადამიანმა დაწერა ისე, როგორც ხედავდა, ხელწიფებოდა და ენადა. ჩემი საფიქრალი, იქნებ, გულისტკივილი სულ სხვაგან იღებს სათავეს: იგივე თემა — ტოტალიტარიზმის არსი და წევრად ადამიანებზე და აქედან გამომდინარე, მათს ყოფაზე, შესანიშნავად არის დამუშავებული ოთარ ჩხეიძის რომანებში. ამ მწერლის პერსონაჟთა

ბედი გაღვლევათ, თანაუგრძობობა მათ, ან იქნებ, ეკამათებით, ხოლო „დათა თუთაშისას“ ერთი თავი — სეთურის მონაკვეთი — სულ რაღაც 10-12 გვერდი — მომკალით და, გაცილებით ხატოვანად გვესაუბრება ტოტალიტარიზმზე, ვიდრე ორუელის ორივე რომანი.

ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი უცხოეთის ქვეყნებში კი თარგმნეს და გამოსცეს, მაგრამ არ მსმენია, მათი რომანები „მსოფლიო კლასიკის“ სერიით გამოსულიყოს.

რატომ?

ამ კითხვაზე უცებ მიღებული პასუხი ასეთია: ჯორჯ ორუელი იხელისელია, ოთარ ჩხეიძე და ჭაბუა ამირეჯიბი კი პანია ქვეყნის მწერლები არიან, მაგრამ ეს პასუხი ხომ ერთობ ხაუცხათეგია: უფრო პანია ქვეყნების მწერლები მიუჩნევიათ თავყვანისცემის ღირსად და სავსებით სამართლიანად. ეს დიდებული ქართველი მწერლები რატომ არა?

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამ თავსატეხ კითხვას ამომწურავ პასუხს გავცემ, თუმცა, არ დაფარავ: პასუხი, რომელიც მე უნდა გავცე კითხვას, ჭეშმარიტებასთან ახლოს მგონია: მდიდარი, ძლიერი ადამიანების გვარად, მდიდარ, ძლიერ ქვეყნებს, უჭირთ სრულყოფილად დაინახონ პატარა და ნაკლებად ძლიერი, ნაკლებად ღონიერი ქვეყნების შვილთა (მხატვრობის, ლიტერატურის და სხვ.) ღირსება-მონაპოვარი. სიმდიდრეს, სამხედრო ძალას მოკლებულთა ღირსებას ნაკლებად რწმუნობენ — მიაჩნიათ, რომ საუკეთესო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც ევროპასა, თუ ამერიკაში იქმნება. სმენა, მზერა სულ ამერიკისა, თუ ევროპის კონტინენტისაკენა აქვთ მიპყრობილი. ამის მიღმა? პო, კი, კარგააო, ყოჩაღო, ბეჭებზე ხელსაც მოგისვამენ და... არასოდეს დამაინყდება, თანამედროვე თეატრალური რეჟისურის მეტრისა და დიდებულის მოღვაწის — პიტერ ბრუკის გაოცებული მზერა: საქართველოში სტუმრობისას ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ კახეთში იწვია. კახეთში ქართული ხალხური სიმღერებით შევსებულ, მზერაგაბრწყინებულ უსმენდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. მერე მოგვიბრუნდა და გაოცებული გვკითხა:

— ეს სიმღერებიც ქართულია? გაუჭირდა დაეჯერებინა, რომ ასე არა ესპანეთში, საფრანგეთსა, თუ ბრიტანეთში „სადაც“ საქართველოში მღერია. ნუხელის რომ მიხელით თუმანიშვილის სპექტაკლით — „დონ ჟუანი“ — ალფრედოვანდა, ეს, ალბათ, მხოლოდ რეჟისორის, მსახიობთა დიდ ნიჭიერებად, ოსტატობად მიიჩნია და არა ქართული თეატრალური კულტურის გამოვლინებად.

ახლა ასეთი პოლიფონიურობა? ეს ხომ სულ სხვა მასშტაბია! დიდი პიტერ ბრუკი გაკვირვებულიც იყო და ალფრედოვანებულსაც. შემთხვევებით გარემოებათა გამო, მისი გაკვირვება გასაგები გახლდათ.

## ე ლ ი ბ ო

ელიზბარ ჯაველიძე ჩემი კურსელია. 1956 წლის პირველ სექტემბერს ერთად მივუსხედით მერხს თბილისის უნივერსიტეტში, ერთად დაინწყეთ თურქული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. მრავალი კონსპექტი გვიწერია ერთად, გამოცდების შედეგის მოლოდინში მრავალჯერ ვდგავართ უნივერსიტეტის დერეფნებში, მრავალი სადღეგრძელოც გვითქვამს. მის მშვენიერ ოჯახში არაერთი საათი გამიტარებია, დამეც გამითევია. არ ვიცი, ეს სახელი ვინ შეარქვა — სიყვარულით, ალერსით ელიზბარს ეძახდნენ, ეს სახელიწო, მოსაფრებელი სახელი, თაობებში გადავიდა — ნლების მერე, თავისივე სტუდენტებიც ელიზბარ მოიხსენებენ.

ერთხელ ვორთილოვის კლუბის რესტორნიდან (იყო ასეთი რესტორანი, იქ, სადაც დღეს გრიბოედოვის სახ. თეატრი დგას. აქ რომ „ჩიჟი-პიჟის“ აკეთებდნენ, იმნაირს თბილისში ვერსად შეჭამდი!) რუსთაველზე გამოსულნი, მის მეგობარ იმტარა ჭელიძესთან ერთად ჩხუბშიც კი აღმოვჩნდი. მერე, მილიციელთაგან რომ თავი დაგვეღწია, სხვადასხვა მხარეს გავრბოდით. დღეს რომ ცხრა აპრილისას ეძახიან, იმ ბაღმა შეგვიფარა.

უნივერსიტეტის წლების შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა.

ელიზბარ, ანუ ელიზბარ ჯაველიძე ჩინებული მეცნიერი გახდა — პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (სტუდენტობაშივე ეტყობოდა: ეს აუჩქარებელი, გამჭირდავი მზერის ჭაბუკი, სიტყვას რომ არავის შეარჩენდა, მორს ნავიდოდა.) მერე აკადემიის ნამდვილი წევრი. და მინისტრი იყო, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორიც, მოგვიანებით პოლიტიკაში ჩაება. აქაც ეგრეა: პირდაპირ მთქმელი, დაუხანებლად მოპასუხე, ტალღასავით ყალყზე შემდგარი, მაგრამ ტალღა მიწაზე დაცემისთანავე იმხვერევა, წვეთებად იშლება, ელიზბარი კი მისევე კვლავ ზვირთად იკვრება. ისეთი შეუპოვარია, ვერც იფიქრებ, მეგობრობაში თუ ასეთი რბილია და თბილი.

ამოდენა გზა გამოიარა, მაგრამ მეგობრობის კოდექსისთვის ზურგი არასოდეს უქცევია. უნინარესად კაცი იყო და კაცად დარჩა.

დღევანდელი გადასახედიდან უფრო მკაფიოდ ვარჩევ: თბილისში პირველი ქართული ოჯახი, სადაც ფეხი შევდგი და შინაურად მაგრძობინეს თავი, სადაც ქართულ ადათ-წესს თვალი მოვავლე, ელიზბარ ჯაველიძის, უფრო სწორად, მისი დიდებული მშობლების ოჯახი გახლდათ. დედა წერეთლის ქალი — საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების ოჯახის ნაგრაში — დიდებული ქალბატონი. მამა, მამა — მეღვინეები — შორს გახედული, გონიერი კაცები. ამათ მიმიღეს, გამომინაურეს. რომ არა მათი ზნეკეთილობა, სულსავე, კეთილშობილება, რა რჯიდათ, ამ პროვინციიდან ჩამოსულ ებრაელ ყმანვილკაცთან, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი რამ არ იცოდა ცხოვრებისა და ღრუბლებში ყავარჯნებით დააბოტებდა, რა აკავშირებდათ!

ერთ ღამე გვიანობამდე შევყვით, როგორც ჩანს, ერთობ შევეთვრით და ამიტომ აღარ გამიშვს ჩემს თავის კუდი-სოდენა ოთახში, ჰაზირას ჩიხში — რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო. მომდევნო დღეს გვიან გავივდიქეთ, დიდ ოთახში მოზრდილი სუფრა იყო გაშლილი. მალე სტუმრებიც მოზრდნდნენ. ოჯახი ერთობ ახლო ნათესავს, თავის სისხლსა და ხორცს — გამოჩენილ მეცნიერს, რომის ისტორიის დიდებულ სპეცილისტს, გადასახლებიდან ამასწინათ დაბრუნებულ ალექსანდრე ნერეთელს (1957 წლის გაზაფხული იყო) ეგებებოდა.

და კიდევ... იმ დღის კიდევ ერთი უცნაურობა: ღვინით სავსე ჭიქას ასწევდნენ და ერთმანეთს ომბახიანად შესძახებდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ ჩემთვის, ქრისტიანულ სამყაროში გაუცხოებულნი ყმანვილ კაცისთვის, ასეთი რამ სრულიად გაუგებარი იყო. კიდევ უფრო უცნაური იყო ის, რაც ამ შეძახილს მოსდევდა: „ჭეშმარიტად!“

ამიტომ ძლიერ დავიბენი. არ ვიცოდი, როგორ მოვეცეულიყავ. ქრისტეს ამბავი, ცხადია, გამეგო, მაგრამ ამას აქ შეკრებილ ხალხთან დღეს, გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს, რა კავშირი უნდა ჰქონოდა? არაფერი მესმოდა. კომკავშირული რამე-რუმეები, გიყვარდეს, ვიცოდი, აღდგომის ამბები კი... ყველაფერი გაუგებარი იყო, ვერა და ვერ ვხვდებოდი, თუ რატომ იყვნენ ეს ადამიანები ესოდენ მხიარულნი, ან ამ წითელ-წითელ კვერცხებს რატომ ამტვრევდნენ, ალბათ, უნდა ავმდგარიყავ და წავსულიყავ, მაგრამ ამ ადამიანებთან განმორება, არ მენდა — ძალზე საინტერესოდ საუბრობდნენ.

მალე დიღემის ნინამე აღმოვჩნდი: ცხადი იყო, შეკრების მიზეზი არა მხოლოდ გადასახლებიდან დაბრუნებული ახლობელი ადამიანის მიგება, დღესასწაული გახლდათ, მთავარი იყო ის, რასაც შესძახებდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ მე კი არ ვიცოდი, ამ ჩინებული საკრებულოს შეძახილზე, როგორ უნდა მოვეცეულიყავი: უნდა შემეძახნა თუ არა „ჭეშმარიტად!“ ალბათ, ძალიან უმწეოდ გამოვიყ-

ივნისი (თამუზი) №6, 2023 წ.

ურბოდი: ებრაელი ვიყავი, ებრაული ტრადიციებით გაზრდილი და არ მენადა ჩემი შეძახილით, გნებავთ, დუმილით, ებრაელი კაცის, ან თუნდაც აქ შეკრებილი ძვირფასი ადამიანებისათვის მიუღებელი, შეუფერებელი საქციელი ჩამედინა. თუ შევძახებდი, „ჭეშმარიტად!“, ვაითუ, ჩემი — იუდეველი კაცის ღირსება შემელახა. ისიც ხომ შეიძლება, სტუმართაგან ვინმეს ეთქვა, „შენ ხომ იუდეველი ხარ, შენ რატომ შესძახებ „ჭეშმარიტად!“ ან იქნებ, ვინმე მოლრინტინე კაცი გამოეროს და თქვას: „დაგვცინის, ნამდვილად დაგვცინის, ამით ხომ ქრისტეს ღვთიურობა არა სწამთ!“ რა ვქნა, როგორ მოვიქცე? აი, მაშინ გამიელვა ერთმა აზრმა: საქართველოში რომ ანტისემიტობა არ ყოფილა, ქართველი და ებრაელი ურთიერთგაგებით, მეგობრულადაც რომ ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იუდეველნი ქრისტიანებად მოიქცნენ, ან ქრისტიანნი გაიუდეველდნენ, არა, ორივემ იმით შეინარჩუნა თავისი რწმენა, ღირსება, რომ თავთავიანთ ღმერთს მიაგებდნენ პატივს. ამიტომ მე...

უხმოდ უნდა იჯდე, უხმოდ... უხმოდ... იმდენად გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავი, ნესით უნდა ავმდგარიყავ და ნამოვსულიყავ, მაგრამ ეს ადამიანები, სუფრას რომ ამშვენებდნენ, იმდენად საინტერესოდ საუბრობდნენ, გზებებსა და გულში იმდენ ჩასამწყვდევე ამბებს ჰყვებოდნენ, სუფრას ვერ მოვძორდი.

თანაც ეს წასვლაც რაღაც... ალბათ, ერთთა საბრალობლად გამოვიყურებოდი. ელიზბარის ჩემს ვაგლახ მდგომარეობას გრძნობდა და სახეზე ცელქი, ონავარი ბიჭის ღმილი დათამაშებდა. მოწონდა, მე რომ ასე ვწვალობდი.

მერე მეხსიერებაში ნამოტივტივდა ებრაული სენტენცია „თიხათ ჰამეთიმ“ — მკვდრებით აღდგომის თაობაზე და ვცდილობდი, უფრო ჩანვწვდომოდი ამ ადამიანებისაგან მოსმენილ, ასე საამოდ რომ უზნობდნენ თანამედროვე ქართულ რეალობას, თუ შორეულ წარსულზე.

სოლოლაკიდან რომ დავეშვი, საღამო ხანი იყო. რამდენი საინტერესო რამ გავიგე დღეს, რა საინტერესო, კეთილშობილ ადამიანებს ვუსმენდი.

ხვალ დილით საჯაროში უნდა წავიდე. მოვდიოდი და ელიზბარის ონავრული ღმილი თან მომდევდა

ქართველთა ურთიერთობაზე გვესაუბრება.

„უცნაური“ ადამიანია, აბა, რა: ეჭვი, როდის დაწერილ „ლალატს“ დაადგამს თვალს, თითქოს საქართველოს ადრინდელ ყოფაზე გვიამბობს, სინამდვილეში ლალატის არსზე მიგვანიშნებს — ძალაუფლებისა და ლალატის არსი ხომ მრავალნაზნაგოვანია. იგი ხომ დღესაც „მუშაობს!“ ამ ნაირსახეობის ვარიაციებსაც ლამის ყოველდღიურად ვხედავთ.

ხოლო რაც შეეხება „ყვარყვარეს“, „უცნაური“ კაცია აბა, რა არის: 1928 წ. დაწერილ პიესას, საუკუნის დასასრული-საკენ ისე დადგამს, ცხრაჯერ ნახვენ, ცხრაჯერ ასწონიან, მარცხნიდანაც შეხედავენ, მარჯვნიდანაც დააცქერდებიან... ჰოო, კიო, მაგრამაო... მაყურებელი კი თავის ირგვლივ პოულობს მრავალ ყვარყვარეს, ბევრი თანამედროვე შეასახელეს ყვარყვარედ...

ერლომ ახვლედიანს არც „ვანო და ნიკო“ დაუწერია გუშინ... მას მერე ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ...

ახლა ის ვნახოთ, თემურ ჩხეიძე რაოდენ „უცნაური“ კაცია... დახეოთ, რა გააკეთა: „ძველი“ პიესა მიიძია — გაუმინდლებზე უნდა გესაუბროთო, ქართველთა გუშინდელი ყოფა უნდა გაჩვენოთო და გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ერთი ამბავი ატყდა: ისეთი ხასიათები წარმოაჩინა, ჩვენთან რა უნდა, ჩვენს ყოფას რას ეჩისო. არადა, ამ „ხასიათებს“ დღესაც უნდა ვებრძოლოთ, დღესაც დგას პრობლემა: გრენგოლმები სხვა გვარებმა ჩანაცვლეს... დღესაც გვჭირდება კაცები, რომლებიც იტყვიან „ჩვენ სახელმწიფო, ერი ვართ და...“

„უცნაური“ კაცია თემურ ჩხეიძე აბა რა არის: ჯაყოშიმის სარკეში ჩაგვახედა, მაგრამ სარკეს ნუ დაამტვრევთ, რაც სარკეში ჩანს, იმას ვებრძოლოთ...

დოი, დათო დოიაშვილიც ერთობ „უცნაური“ აღმოჩნდა: ქართული თეატრის გარიჟრაჟზე დაწერილი „გაყრა“ აიღო და...

დღეს მეტად ვაფასებ ავთო ვარსი-მაშვილის გაბედულებას: „კავკასიური ცარცის წრე“ დადგა; სტურუას ეჯობებოდა? არა, თავისი თეატრალური გზით მიდიოდა და გვიანალურმა სპექტაკლმა არ დააფრთხო, ხოლო ის, თუ როგორ უყვარს სტურუა, მისმა ახლახან გამოსულმა ჩინებულმა წიგნმა — „კომედიანტის ნაჯღაბნი“ დაგვიდასტურა.

ასე რომ, ძიება, ძიება და ისევ ძიება! ეს „უცნაური“ ეძებდნენ და ჰპოვებდნენ, სხვა მაძიებლებიც არიან, როგორ არ არიან... ძიებაში ენაცვლება დღე დღეს, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს. ის, ვინც მუდამ ძიებაშია, ზოგჯერ იქაც კი პოულობს, სადაც არ ელოდება...

იპოვით, ქართულ მწერლობაში დიდ ძალას იპოვით!

**ოთარის ხითხითი, გურანდას კისკისი**

ეს ის წარსულია, რომელთან დამშვიდობება არ მსურს — იგი მარად ჩემთან დარჩება — ჩემს ხსოვნაში: დღესაც, კ. მარჯანიშვილის თეატრის მაყურებელთა დარბაზში შესვლისას, ის ხითხითი, ის კისკისი, ყურში ჩამესმის. სპექტაკლის მღვებლობისას კი მეხსიერებაში ცოცხლდება ესოდენ ახლობელი სურათი: სპექტაკლის დაწყებამდე ორო-სამი წუთით ადრე მაყურებელთა დარბაზში შემოდინა გურანდა გაბუნია და ოთარ მეღვინეთუხუცესი. პარტურის მარჯვენა მხარეს სხდებიან და მე, რომელ რიგშიც არ უნდა ვმჯდარიყავი — მათს წინ, უკან, შორს, თუ ახლოს, მუდამ ჩამესმოდა გურანდას კისკისი და ოთარის თავშეკავებული ხითხითი.

ორივე დიდებული მაყურებელი გახლდათ — ისეთი, როგორიც არის ყოველი ნიჭით სავსე ადამიანი. ამათზე არა-რა ზეგავლენას არ ახდენდა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან, მონაწილე მსახიობებთან — იცნობდნენ, თუ არა, უყვარდათ, თუ დაპირისპირებულ მხარედ მიიჩნევდნენ. მთავარი იყო ის, თუ რა ხდებოდა სცენაზე და როგორ გადმოიცემოდა ის, რაც ხდებოდა და ამ დაგუდული, თავშეკავებული ხითხითით, ან კისკისით, გამობატვადნენ ნაღდ, უშუალო დამოკიდებულებას იმისადმი, რაც სცენაზე ხდებოდა.

ამ დროს ოთარი არ იყო, არც უალრესად ნატიფი უჯუმ ემზა და არც სახელმწიფოს პრობლემებს კარიტიდად შემდგარი კრეონი, არც მრისხანე ოიდ-იპოსი და არც მოტყუებული, მართალი ოტელი. ამ დროს იგი იყო ადამიანი, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს სცენასთან. არც ემოციის დამუხრუჭებას ცდილობს და არც იმის დაფარვას, მავანმა მსახიობმა (იქნებ, მისადმი დაპირისპირებულმაც კი — თეატრში ამას რა გამოლევს!) ეპიზოდი ჩინებულად რომ გაითამაშა.

ყოველთვის არ იყო ასე — ყოველთვის როდი ხითხითებდა ოთარი, ყოველთვის როდი კისკისებდა გურანდა, — კარგი სცენები, მოწონების ღირსი როლები, განა ყოველდღიურობაა.

დღეს? გულსაკლავ სურათს შევყურებ: დადუმებული, უხმაურო გურანდა — თითქოს აბრიალებული კოცონი ჩაქრა და ატმის ხის ნახშირად ქცეული ტოტებს-ლავებდავ — ერთ დროს საამო სახილველ, დღეს კი ქარისა, თუ წვიმის, ხორშაკის, დრო-ჟამისაგან პირველქმნილ სილამაზე ნაგვრილ ფრესკას შევყურებ.

დადუმებული ფრესკა! და თავს მახსენებს ათასგზის წაკითხული, ხალხში გაგონილი: კაცს უღლისგამწევის გლოვა უხდებო. თუ დააკვირდებით, დაინახავთ, ოთარ მეღვინეთუხუცესს როგორ ამშვენებს გურანდა გაბუნია და დღევანდელი იერსახე. ამიტომ: გურანდას როცა ვხედავ, მწადია, მოვცხვიო და ვუთხრა: „აფერუმ“, „აფერუმ!“

ყურში ჩამესმის ნოდარ გურაბანიძის ნათქვამი:

„ბელგრადში, „ბიტეფის“ ფესტივალზე, უამრავი სპექტაკლი ვნახეთ. ფესტივალის დამთავრების შემდეგ, რამაზ ჩხიკვაძე მეუბნება: „აი, ვიხილეთ ევროპელთა მიერ ნათამაშები ტრაგედიები. ფრანგები, ინგლისელები, ფინელები შესანიშნავი სპექტაკლებით გამოვიდნენ ფესტივალზე, მაგრამ ვერცერთი ქვეყნის სპექტაკლში ვერ ვიხილეთ ოთარ მეღვინეთუხუცესის ბადალი მსახიობი — მისი ნიჭის, ხმის, გინდაც, აღნაგობის მსახიობი!“

ამას ამბობდა ბრწყინვალე, შემოქმედებითი დიდების ზენიტში მოქცეული რამაზ ჩხიკვაძე!

ვაგლახ, რომ ჩვენი თაობის თეატრალური ცხოვრების ეს გაცისკროვებული სახეები უკვე წარსულშია — დღეს რამაზ ჩხიკვაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს და გიგა ლორთქიფანიძეს, რომელიც ოთარის ბევრი თეატრალური, თუ კინო როლის მოძღვარია, დიდების პანთეონის ერთ კუთხეში მოუყრიათ თავი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს დამაკლდება ჩემი თეატრალური ცხოვრების ერთი, იქნებ, მცირე, მაგრამ უთუო შემადგენელი ნაწილი.

შ.ოთარ მეღვინეთუხუცესი რომ გარდაიცვალა, სთს თავმჯდომარე — გოგი ქავთარაძე ფიქრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი დაკრძალვა. მეორე საღამოს გაგვიმხილა: ოთარი კოტე მარჯანიშვილის თეატრიდან გაასვენეს. დიდუბის პანთეონისაკენ მის ნეშტს შავი ულავი გაუძღვა — დათა თუთაშხიას ცხენი. აღვიროს ოთარის „როლის შემსრულებელ“ ჭაბუკს ეჭირა. ოთარს იმქვეყნიური სამართლისაკენ სამართლიანობის მაძიებელი თუთაშხია მიუძღოდა.

**უცნაურ განცხადებასთან დაკავშირებით**

ეს ამბავი თითქმის ორი ათეული წლის წინათ იყო: ძლიერ მენადა, თბილისში — ამ უძველეს ქალაქში, ყოფილიყო იუდეის დიდი მეფის — ფსალმუნთა შემქმნელის — დავითისა და მისი ძის შლომოს — სოლომონ ბრძენის — სახელობის ქუჩეში. მახსოვდა, არ მაყინყვებოდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან პირველი შეხვედრისას მის მიერ ნათქვამი საქართველოში არ არისო წუთი, რომ დავითის ფსალმუნი არ იკითხებოდეს — ყოველ ეკლესიაში, ყოველ წუთს იკითხებო ფსალმუნი.

ჩემი მიზნის მისაღწევად — თბილისის ორ ქუჩაზე დიდ მეფეთა სახელის მინიჭების თაობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — უწმინდესისა და

უნეტარესის — ილია მეორის მოსახრება მაინტერესებდა — ჩემი ამ ძლიერი სურვილითა და ამ საქმის გასრულებითა თვის მეცადინეობით, უნებურად რაიმე შეცდომას ხომ არ ვუშვებდი, სხვათა ღირსებას ხომ არ ხელგყოფდი. კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტს — ძვირფას შორენას დავურეკე მისი უწმინდესობის ნახვა მწადია-მეთქი. ნახევარ საათში გადმოვირეკე, მობრძანდით, გელოდებათო. მივედი. უწმინდესი და უნეტარესი დაკავებული გახლდათ. დროის მოსაკლავად, ფოიეში გავედი. კედლები მოფენილი გახლდათ საქართველოს ადრინდელი წლების კათოლიკოს-პატრიარქების სურათებით. ყურადღებით ვათვალაურებდი — კედლებიდან გადმოყურებდნენ შთაგონებული მზერის, რწმენით გასხივოსნებული ადამიანების სახეები. არ დაფარავ, მე იუდეველი, ყოველი მათგანის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვივსებოდი. რატომ? იუდეველი ვარ, მვეროდა, მვერა — სიცოცხლის ბოლომდე ასეც იქნება — სამყაროს გამსახავის — უწუნავის მიერ ჩვენთვის ბოძებული რწმენის ორ დაფაზე აღბეჭდილი მოძღვრებისა, ვცდილობ, მცნებებს ვიტყვავ.

მაშ, რატომ ვივსებოდი ესოდენი პატივისცემით კედლებზე გამოფენილი ქართველ ქრისტიანთა სულიერი მოძღვრების — ადრეული წლების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების სახეებითა მიმართ?

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო ანტისემიტობა, დროდადრო ადგილი ჰქონდა ცალკეულ ანტისემიტურ აქტებს, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ იმ ოცდაექვსი საუკუნის (და იქნებ, მეტისაც!) განმავლობაში, რაც ებრაელობა საქართველოში ცხოვრობს, არ ყოფილა ებრაელთა რბევა — ქართველი ხალხი პირნათელია კაცობრიობისა და მომავლის წინაშე, მის სულს არ გაკარებია ანტისემიტობის ბაცილები. ქართველზე იყვნენ სულით ხორცამდე ქრისტიანები, ჰყავდათ ქრისტიანობისათვის თავდადებული, ნამებულნიც კი, მაგრამ სხვათა რწმენის იავარყოფა, მელახვა არ უცდიათ. იცავდნენ თავისას და სხვებსაც აძლევდნენ თავთავიანთი რწმენით ცხოვრების საშუალებას.

ერში ვინ ამკვიდრებდა ამ სულისკვეთებას? ვინ ჩააგონებდა მას კაცთმოყვარეობას, სხვათა მიმართ პატივისცემას, გამტანობას? რასაკვირველია, ეკლესია, ქართველი მღვდელმთავრები იყვნენ და რჩებიან ქართველი კაცის სულიერების შთამავლენებლად და მოდარაჯედ. განა, მათ არ იცოდნენ, შორეულ, თუ ახლო საუკუნეებში რელიგიათა ურთიერთობის შავი ფურცლები, განა, მათ არ იცოდნენ რაოდენ ძლიერი გახლდათ ახალი ღმერთის მაძიებელ ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ისიც იცოდნენ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე როგორ ანამებდნენ იუდეველთ, რამდენი ტანჯვა-ვაება გამოატარეს, მაგრამ სიკეთისაკენ გახლდნენ მიდრეკილნი და ადამიანებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას ედგნენ დარაჯად. ეს გაცილებით რთულია, ვიდრე ადამიანებს, ერთა შორის ერებს გაღვივება. ისინი სიკეთისა და მშვიდობის რთული გზით მიდიოდნენ. ასე ზრდიდნენ თაობებს — ასე მოვიდნენ დღემდე და ჩემი დიდი პატივისცემა კედლებზე გამოფენილ პერსონათა მიმართ, ამით გახლდათ განპირობებული.

იუდეის მეფეთა — დავითისა და სოლომონის სახელობის ქუჩები? მიზანს მივალნი: რამდენიმე ხანში ქალაქის მესვეურებმა სათანადო დადგენილება გამოიტანეს და 2007 წელს მეტეხის აღმართზე ქუჩებზე სახელის მინიჭების ცერემონიალიც შედგა. ამ დიდ ადამიანთა სახელის მისანიჭებელი შესაბამისი ადგილების ამ უბანში მოძიებაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მირჩია — მე მანდ ბადრე პატარკაციშვილის შემწეობით, დავითის სახელობის ტაძარიც ჩავდგით და იქნებ, რაიმეს მიაკვლითო. მივაკვლიე და პირველი მას ვახარე. გახსნის ცერემონიაზე მობრძანდა, ჩინებული სიტყვაც ბრძანა, ისევე როგორც საქართველოს მთავარმა რაბინმა — არიელ ლევიმმა.

ასე ვვიდოდი, ასევე უნდა ვიაროთ და არა ისე, როგორც მეუფე იოანე და დეკანოზი ილია კირკაძე გემოდღვრავენ!

საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ ელიაჰუ“ თქვენს სამსახურში

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“ აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე: პროგრამა „დღის ცენტრი“ - კოორდინატორი „ხესედი ილიაჰუ“ რეგულარულად სთავაზობს 1000-ზე მეტ, თემის ადგილობრივ წევრს ჰუმანიტარულ და სოციალურ პროგრამებს, რომელთა ორგანიზება ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ დონორებთან თანამშრომლობით.



ძირითადი მოვალეობები:

- პროგრამის კონტენტ-კალენდრის, წლიური გეგმის და ბიუჯეტის შედგენა;
• პროგრამის პერიოდული მონიტორინგი და შუალედური შედეგების განხილვა;
• პროგრამის ფარგლებში არსებული პროცესების კოორდინირება;
• პროგრამის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემების და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება და დროული რეაგირება უფლებამოსილების ფარგლებში;
• პროგრამის ფარგლებში აქტიური წრეების ჩასატარებლად საჭირო მასალების შესყიდვა;
• ხესედის ბენეფიციარების მოწვევა პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;
• ხესედის ბენეფიციარების უზრუნველყოფა რელიგიური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სოციალური აქტივობებით;
• შესაბამისი გარემოს და პირობების შექმნა რელიგიური დღესასწაულების, სხვადასხვა თემატური წრის, გასართობი და შემეცნებითი თამაშების აღსანიშნავად;
• მოხალისეების მოზიდვა, ფუნქცია-მოვალეობების გადანიშნულება, სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და მათი ხელმძღვანელობა;
• ყოველთვიური ანგარიშის მომზადება, რეპორტირება და დღის საოპერაციო პროგრამაში მონაცემების ასახვა;
• პროგრამის ხარისხის კონტროლი;
• ხესედის სხვა პროგრამების დირექტორებთან მჭიდრო კომუნიკაცია;
• სიახლეებისა და ახალი ტენდენციების გამოვლენა და დანერგვა.

ძირითადი მოთხოვნები თანამდებობის დასაკავებლად:
\* უმაღლესი განათლება;
\* საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Excel, MS Word, MS Power Point;
\* ქართული, რუსული ენების მაღალ დონეზე ცოდნა (ვერბალური, წერიტი);

პიროვნული თვისებები:
\* პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
\* სხარტი და ანალიტიკური აზროვნება;
\* სისტემური მიდგომა, გუნდურობა;
\* დროის ეფექტურად მართვა;
\* დეტალებზე და შედეგებზე ორიენტირებულობა;
\* ო ასაკოვან ხალხთან კომინიკაციის უნარი;
\* ახალი იდეებისა და ინიციატივების განვითარებისთვის მზაობა;
\* სხვადასხვა სოციალურ გარემოში ინტეგრაციის უნარი.

სამუშაო განრიგი
\* ორშაბათი - ხუთშაბათი: 09:00-18:00
\* პარასკევი: 09:00-15:00

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ებრაული თემის კეთილდღეობა და გსურთ თქვენი წვლილი შეიტანოთ საქველმოქმედო საქმიანობაში, გამოგვიგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონულ მისამართზე: hesedelihu@gmail.com და მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც აღწერილი იქნება თქვენი ხედვა თუ როგორ წარმართავთ პროგრამას „დღის კლუბი“ 2023 წლის 20 ივნისის ჩათვლით. წერილის თემის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: პროგრამა „დღის ცენტრი - კოორდინატორი“.

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“ აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე: პროგრამა „დღის ცენტრი“ - კოორდინატორის თანამდებობაზე „ხესედი ილიაჰუ“ რეგულარულად სთავაზობს 1000-ზე მეტ, თემის ადგილობრივ წევრს ჰუმანიტარულ და სოციალურ პროგრამებს, რომელთა ორგანიზება ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ დონორებთან თანამშრომლობით.



ძირითადი მოვალეობები:

- ხესედის ბენეფიციარების დახმარება გადაადგილებაში (ბინა-ტრანსპორტი / ტრანსპორტი- ხესედი);
• ხესედის ბენეფიციარებისთვის ყურადღების მიქცევა მგზავრობის დროს;
• ხესედის ბენეფიციარებისთვის ყურადღების მიქცევა „დღის ცენტრში“ აქტივობების დროს.
• ხესედის ბენეფიციარების უზრუნველყოფა შემოქმედებითი და სოციალური აქტივობებით;
• პროგრამის ხარისხის კონტროლი;
• ხესედის სხვა პროგრამის დირექტორებთან მჭიდრო კომუნიკაცია;
• სიახლეებისა და ახალი ტენდენციების გაცნობა და დანერგვა.
• საჭიროების შემთხვევაში პროგრამის კოორდინატორის სხვადასხვა მითითებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები თანამდებობის დასაკავებლად:
\* საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Excel, MS Word, MS Power Point;
\* ქართული, რუსული ენების ცოდნა (ვერბალური, წერიტი);

პიროვნული თვისებები:
\* პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
\* მონესრიგებულობა;
\* პუნქტუალურობა;
\* ორგანიზებულობა;
\* ასაკოვან ხალხთან კომინიკაციის უნარი;
სამუშაო განრიგი
\* ო ორშაბათი - ხუთშაბათი: 09:00-18:00
\* პარასკევი: 09:00-15:00

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ებრაული თემის კეთილდღეობა და გსურთ თქვენი წვლილი შეიტანოთ საქველმოქმედო საქმიანობაში, გამოგვიგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონულ მისამართზე: hesedelihu@gmail.com 2023 წლის 20 ივნისის ჩათვლით. წერილის თემის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: პროგრამა „დღის ცენტრი - კოორდინატორის თანამშრომელი“.

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“ აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე: პროგრამა „დღის ცენტრი“ - მძღოლი „ხესედი ილიაჰუ“ რეგულარულად სთავაზობს 1000-ზე მეტ, თემის ადგილობრივ წევრს ჰუმანიტარულ და სოციალურ პროგრამებს, რომელთა ორგანიზება ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ დონორებთან თანამშრომლობით.



ძირითადი მოვალეობები:

- მგზავრების (ხესედის ბენეფიციარები) გადაყვანა;
• კომპანიის სტუმრების დახვედრა, გაცილება, ქალაქში გადაადგილება, ქალაქგარეთ გადაადგილება.

ძირითადი მოთხოვნები თანამდებობის დასაკავებლად:

- მართვის მოწმობა: D1 / D
• ავტომობილის მართვის სრულყოფილი უნარი;
• საგზაო მოძრაობის წესების ცოდნა;
• თბილისის ქუჩების ცოდნა;
• მობილური აპლიკაციით მისამართის მოძიების უნარი;
• ქართულ და რუსულ ენებზე გამართულად მეტყველება.

პიროვნული თვისებები:
\* პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
\* მონესრიგებულობა;
\* პუნქტუალურობა;
\* ორგანიზებულობა;
\* ასაკოვან ხალხთან კომინიკაციის უნარი;
სამუშაო განრიგი
\* ო ორშაბათი - ხუთშაბათი: 09:00-18:00
\* პარასკევი: 09:00-15:00

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ებრაული თემის კეთილდღეობა და გსურთ თქვენი წვლილი შეიტანოთ საქველმოქმედო საქმიანობაში, გამოგვიგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონულ მისამართზე: hesedelihu@gmail.com 2023 წლის 20 ივნისის ჩათვლით. წერილის თემის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: პროგრამა „დღის ცენტრი - მძღოლი“.